ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 2015 №278 (6898) ფასი: 50 თეთრი

## ევროპის ლიგაზე გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრია

სტატისტიკა, ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი-აიაქსი | 2.45 | 3.3 | 2.9 |
| მიოლდე-ფენერბახჩე | 3.4 | 3.4 | 2.0 |
| რუბინი-სიონი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| ლივერპული-ბორდო | 1.53 | 3.8 | 7.0 |
| კრასნოდ.-დორტმუნდი | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| პაოკი-გაბალა | 1.33 | 4.5 | 8.5 |
| ლეგია-მიდტიულანდი | 2.05 | 3.25 | 3.4 |
| ბრიუგე-ნაპოლი | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| დინამო(მნ)-პლზენი | 4.5 | 3.4 | 1.83 |
| ვილიარეალი-რაპიდი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| მარსელი-გრონინგენი | 1.25 | 5.0 | 11.0 |
| ბრაგა-ლიბერეცი | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| ლაციო-დნიპრო | 1.8 | 3.3 | 5.0 |
| რუსენბორგი-სტ.ეტიენი | 3.0 | 3.1 | 2.45 |
| ბეშიქთაში-შკენდერბიუ | 1.12 | 8.0 | 21.0 |
| ლოკომოტივი-სპორტინ. | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| ბელენენსეში-ლეხი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| ბაზელი-ფიორენტინა | 2.62 | 3.2 | 2.7 |
| ყარაბახი-ტოტენჰემი | 3.8 | 3.4 | 2.0 |
| მონაკო-ანდერლეხტი | 1.91 | 3.3 | 4.33 |
| სპარტა-ასტერასი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| შალკე-აპოელი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| აუგსბურგი-ბილბაო | 2.7 | 3.2 | 2.6 |
| ალკმაარი-პარტიზანი | 1.95 | 3.5 | 3.8 |

# „ერდოღანმა პუტინს სერიოზული სილა გააწნა“



გვ.3

## ნუგზარ წიქლაური: „ტერორისტებზე უფრო საშიში უუნარო ხელისუფლებაა“

„რუსეთსა და თურქეთს შორის ომი არ იქნება“



გვ.2

## რამაზ საყვარელიძე: „ისლამისტები კავკასიური დერეფნის ხელში ჩაგდებას შეეცდებიან“

გვ.3



## „აჭარაში მუსლიმანების უფლებები არ ირღვევა“

გვ.7

## მიხეილ სააკაშვილს სცემეს



გვ.5



გვ.2

## ნინო გიორგობიანი: „ტერორიზმის საფრთხის დონე ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის“



გვ.4

## პატრიოტთა ალიანსი ბრძოლას არ წყვეტს

„რესპუბლიკელებს დასავლეთშიც ვამხელთ“

## შს მინისტრმა მომსახურების სააგენტოს ახალი დირექტორი წარუდგინა



გვ.2

ISSN 1987-9385

# ნუგზარ წიკლაური: „ტერორისტებზე უფრო საშიში უუნარო ხელისუფლებაა“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ უნდა ეცალოს ხელისუფლებას დეპუტატების ხმის სინჯების ასაღებად, გაუმკლავდება თუ არა ის დღეს არსებულ გამოწვევებს, რას უნდა ველოდოთ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებიდან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური ესაუბრება.**

**ნუგზარ წიკლაური:**

– ჩვენი სახელმწიფო ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ეს გახლავთ ოკუპირებული ტერიტორიები და მუქარის შემცველი ვიდეომიმართვები. ასევე მნიშვნელოვანია ის საფრთხეები, რომლებიც ახლა იქმნება რეგიონში თურქეთ-რუსეთის სულ უფრო მზარდი დაპირისპირების გამო.

ამ ვითარებაში ჩვენი სამართალდამცავები მოტივირებულებიც უნდა იყვნენ და მობილიზებულიც, რომ ქვეყანაში უსაფრთხოება დაცული იყოს. იმის მაგივრად, რომ შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილებით დაკავდნენ, პარლამენტის წევრებს სრულიად უმიზნოდ ატარებენ საგამოძიებო უწყებებში და, თავისი ჭკუით, შეთქმულების საქმეს იძიებენ. ეს მაშინ, როცა სხვა „შეთქმულების საქმე“ არ აქვთ გახსნილი.

***– რომელ საქმეზე საუბრობთ?***

– ყოფილი შს მინისტრ ჭიკაიძის მიერ დაანონსებულ ე.წ. საბურავების საქმეზე მოგახსენებთ. ეს საქმე აღარც კი ახსოვთ და ახალ „შეთქმულებას“ იძიებენ. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს არასერიოზულად უდგება. იმ დროს, როცა თავების მოჭრით გვემუქრებოდნენ, სათანადო უწყებებმა ხმის სინჯის ასაღებად დამიბარეს. ამაზე მეტი რა ვთქვა.

***– ჩააბარეთ ხმის სინჯი? თავიდან უარს აცხადებდით.***

– როდესაც ხმის სინჯის ასაღებად პირველად გამომიძახეს, ვთქვი, რომ ეს იყო მატრაბაზობა. იქვე დავამატე, რომ თუ სასამართლოს გადაწყვეტილება იქნებოდა, აუცილებლად ჩავაბარებდი ხმის სინჯს. ჩემთვის საერთოდ გაურკვეველია, რაში სჭირდებოდათ ეს ხმის სინჯები, პირველ დაკითხვაზე შესვლის წინაც და ჩვენებაშიც დავადასტურე, რომ მიხეილ სააკაშვილთან მრავალჯერ მისაუბრია.

ეტყობა, ჩემი და ჩემი მეგობრების დაბარებას სხვა მიზნები აქვს. ხელისუფლებას იმის დემონსტრირება სურს, თუ როგორ დადიან პარლამენტის წევრები ჩვენებების მისაცემად.

***– ეს რისთვის სჭირდებათ?***

– საერთო სურათის შესაქმნელად, რომ თითქოს ქვეყანაში რაღაც მზადდება. ეს იმისთვის კეთდება, რომ ხალხმა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე არ იფიქროს და მთელი ყურადღება „შეთქმულებებზე“ გადაიტანოს.




***– როგორც თქვენ ამბობთ, ხელისუფლებას ხალხის ყურადღება „შეთქმულებებზე“ გადააქვს. მაგრამ ეს თემა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გადაფარა. ყველა თურქეთ-რუსეთის შესაძლო სამხედრო დაპირისპირებაზე საუბრობს. რაღაცა თუ დაიწყო, რა საფრთხეები ელოდება საქართველოს?***

– რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა, ამის მიუხედავად, ჯერჯერობით საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მივა, თუმცა გართულებები იქნება. სამხედრო თვალსაზრისით ორი ძალიან ძლიერი ძალა ჩვენს რეგიონში ერთმანეთს უპირისპირდება. ეს როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით სერიოზულ საფრთხეებს უქმნის ჩვენს ქვეყანას.

ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია ოფიციალური მოსკოვის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მას სურს, საქართველოს სამხრეთით გასასვლელი ჰქონდეს. საქართველოს სამხრეთით გასასვლელი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გავლით შეიძლება მოიპოვო. როცა ამ განწყობის და ძალიან აგრესიული ქვეყანა ლამის სამხედრო დაპირისპირებაში ერთვება, ეს ჩვენთვის არის დამატებითი საფრთხე.

***– საქართველო თუ არის მზად ამ შესაძლო დაპირისპირებისთვის?***

– იმისთვის, რომ არსებულ ზეწოლებს გავუძლოთ, საქართველოს სჭირდება ძლიერი მმართველობა. ჩვენი ქვეყანა დღეს როგორც საშინაო, ასევე საგარეო კუთხით ძალიან არის დასუსტებული. ასეთი დაუძლურებული ეკონომიკის და ასეთი უარყოფითი საგარეო პრესტიჟის ქვეყანა მოწინააღმდეგისთვის შესაძლოა იოლ ნადავლად იქცეს.

***– რამდენიმე დღის წინ ისლამური სახელმწიფოს სახელით გავრცელებულ მუქარებზე რას ფიქრობთ, უნდა ველოდოთ თუ არა ამ მიმართულებით რაიმე საფრთხეებს?***

– ამ ვიდეომიმართვებს სერიოზულად არ ვუყურებ. ასეთი ვიდეოები, როგორც წესი, ხშირად ვრცელდება ხოლმე და არა მგონია, რაიმე საფრთხის წყაროს წარმოადგენდნენ.

***– რუსეთი თუ გამოიყენებს ამ ვიდეოებს აქ რაიმე სახის პროვოკაციის მოსაწყობად?***

– უშუალოდ ეს ვიდეოები რუსეთს საქართველოზე თავდასხმის შესაძლებლობას არ აძლევს. იმის გამო, რომ სირიაში საქართველოს მოქალაქეები იბრძვიან, მოსკოვი ვერ მოგვედავება, იქ რუსეთიდან გაცილებით მეტი ადამიანი წავიდა საომრად.

ამ ვიდეოების გამავრცელებლების მიზანი იყო, რომ ჩვენ მათზე სერიოზულად გვეფიქრა. ამ თემის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, მაგრამ ვიმეორებ, მათგან პირდაპირ საფრთხეს არ უნდა ველოდოთ. საქართველოს გაცილებით მეტ საფრთხეს უქმნის საკუთარი უუნარო ხელისუფლება.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ტერორისტებზე მეტ საფრთხეს ხელისუფლებისგან უნდა ველოდოთ?***

– უუნარო ხელისუფლება ნებისმიერი ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია. მისი წყალობით, საქართველოს საერთაშორისო პოზიციები შესუსტდა და ის მსოფლიო რადარებიდან საერთოდ დაიკარგა. დღეს ყველა საუბრობს უკრაინაში რუსეთის შეჭრაზე, მაგრამ საქართველოს არავინ ახსენებს.

არადა, წინა ხელისუფლების დროს, მთავარ პოლიტიკურ მოედნებზე საქართველო გამუდმებით აქტუალური თემა იყო. ახლა აღარავინ გვახსენებს, რაც ქვეყანას ასუსტებს. ეკონომიკაში არსებული პრობლემები ასუსტებს ჩვენს თავდაცვისუნარიანობას და ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემები ექმნება.

დღეს საქართველოს ყველა მოქალაქე აღიარებს იმას, რომ ჩვენ უუნარო ხელისუფლება გვყავს. უუნარო ხელისუფლების პირობებში კი, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები ასმაგდება. მეეჭვება, მათ გამოწვევებს სათანადოდ უპასუხონ.

***– საფრთხეების არსებობაზე ხელისუფლებაც საუბრობს და აცხადებს, რომ გამოწვევების წინაშე მთელი საქართველო ერთად უნდა დადგეს. ამაზე რას ფიქრობთ, დადგებით ხელისუფლების გვერდით?***

– იმ საფრთხის მიმართ, რასაც ტერორიზმი ჰქვია, მთელი საქართველო ერთსულოვანი უნდა იყოს. ამას მოწოდება არ სჭირდება, მაგრამ როგორ უნდა დავუდგეთ გვერდით იმ ხელისუფლებას, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიაზე ე.წ. კანონიერი ქურდები შემოჰყავს. როგორ უნდა ვენდოთ იმ ხელისუფლებას, რომელიც მხოლოდ იმაზეა ორიენტირებული, როგორ გამდიდრდეს, თანაც იმ დროს, როცა მოსახლეობა სულ უფრო ღარიბდება.

ასეთი მენტალიტეტის მქონე ხელისუფლებას არსებული საფრთხეების და გამოწვევების გამკლავება გაუჭირდება. ამ დასკვნას „ქართული ოცნების“ წევრების არაადეკვატურობიდან გამომდინარე ვაკეთებ. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის დროსაც არაადეკვატური იქნება მათი მცდელობა.

განცხადება, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ყველა ერთმანეთის გვერდით უნდა დავდგეთ, ძალიან კარგი სიტყვებია. თუმცა ის შეიძლება სადღეგრძელოში უთხრა ვინმეს. თანამედროვე სახელმწიფოებში ხელისუფლებას არსებული საფრთხეების მიმართ ადეკვატურ მიდგომებს სთხოვენ, რაც „ქართული ოცნებისთვის“ სრულიად უცხოა. აქედან გამომდინარე მივიჩნევ, რომ საკუთარი ხელისუფლებისგანაც გველოდება პრობლემები.



# შს მინისტრმა მომსახურების სააგენტოს ახალი დირექტორი წარუდგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ახალი დირექტორი დათო ნიკოლეიშვილი წარუდგინა.

გიორგი მღებრიშვილმა დათო ნიკოლეიშვილს თანამდებობაზე დანიშვნა პირადად მიულოცა, მასთან სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა და დავალებები მისცა.

შს მინისტრმა, სააგენტოს ახალ ხელმძღვანელთან ერთად, მომსახურების სააგენტო დაათვალიერა და არსებულ სერვისებს გაეცნო.

მომსახურების სააგენტოს ახალმა დირექტორმა შს მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა. დათო ნიკოლეიშვილმა აღნიშნა, რომ კიდევ უფრო განავითარებს სააგენტოს, დანერგავს ინოვაციებს და საზოგადოებას მაღალი ხარისხის, დასავლური სტანდარტების სერვისებს შესთავაზებს.

# ნინო გიორგობიანი: „ტერორიზმის საფრთხის დონე ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის“

**– ტერორიზმის საფრთხის დონე ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის ტერორიზმის საფრთხის დონე, ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, ნინო გიორგობიანმა განუცხადა.**

**ნინო გიორგობიანი:**

– მსოფლიოში, დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რისკები ყველგან მომატებულია.

აქედან გამომდინარე, გაზრდილია უსაფრთხოების დაცვის ზომები. არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ტერორიზმის საფრთხის დონე, ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის. თუმცა მსოფლიო და რეგიონალურ კონტექსტში რისკების გამორიცხვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. შესაბამისად, ტერორიზმის საფრთხესთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შესაბამის რეაგირებას ახდენს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაწყებულია გამოძიება ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ქვეყნის უსაფრთხოებასთან. მობილიზებულია ყველა შესაბამისი დეპარტამენტი, რათა მოხდეს საფრთხეების მაქსიმალური პრევენცი.

მისივე თქმით, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ჩვენი პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით აქტიურად ტარდება პრევენციული ზომები საქართველოს საზღვრებზე.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „ისლამისტები კავკასიური დერეფნის ხელში ჩაგდებას შეეცდებიან“

ნონა ცაბაძე

**ისლამური სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხემ მთელი მსოფლიო პანიკაში ჩააგდო. აქვს თუ არა საქართველოს მოსახლეობას საქმე საპანიკოდ?**

**ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ტერორიზმმა შეიძინა სახელმწიფოს ნიშნები. გარდა ამისა, ის იდეოლოგია, რომელზედაც ტერორისტებს აქვთ ორიენტაცია — ისლამი, ბევრ ადამიანს აერთიანებს. რთული სიტუაციაა მათთვისაც, ვინც იბრძვის ამ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.**



— ლოგიკურია ველოდოთ, რომ ყველაზე აქტიური მებრძოლები ერთმანეთშიც ასწორებენ ანგარიშს ამ პროცესში, — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

***— აქტიურ მებრძოლებში და ანგარიშის გასწორებაში რა იგულისხმეთ?***

— სავარაუდოა, ამერიკა ეცადოს, რომ რაც შეიძლება მეტად ჩართოს რუსეთი ომში, რაც რუსულ ეკონომიკას მნიშვნელოვნად დააზარალებს და ჩართოს ისე, რომ რუსეთი ამ ფონზე არ გახდეს ძლიერი ლიდერი პოლიტიკურ არენაზე. ამ რთულ ამოცანას მანევრები მოჰყვება. მეორე მხრივ, რუსეთზეც არის დიდი ეჭვი.

***— რა ეჭვი?***

— რუსი ექსპერტები, რომლებიც კრიტიკულები არიან პუტინის რეჟიმის მიმართ, ღიად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ როგორც თავის დროზე რუსული ტერაქტების კვალი მიდიოდა პუტინთან, გამორიცხული არ არის, რომ უკრაინის პრობლემების გადასაფარად, რუსეთმა ხელი შეუწყო იმ პროცესებს, რამაც, დავუშვათ, პარიზის მოვლენები განაპირობა.

***— უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— რუსეთს დიდი კავშირები აქვს ისლამურ სამყაროსთან, ბევრი ტერორისტული დაჯგუფება სწორედ მისი შექმნილია თავის დროზე და მექანიზმები იმისა, რომ პროცესები დაძრას, ან მიმართულება მისცეს, მას გააჩნია.

***— ეს ყველაფერი ცუდად ხომ არ შემოუბრუნდება რუსეთს?***

— ის, რომ არც რუსეთია იდეალურ მდგომარეობაში, თურქეთის ამბავმაც გვიჩვენა. რაღაც პროცესებში, რუსეთი, შესაძლოა, წამგებიან სიტუაციაშიც კი აღმოჩნდეს. მას თურქეთთან დაპირისპირება ძალიან გაუჭირდება, ეს ნატოსთან დაპირისპირებასაც ნიშნავს.

ინციდენტები თურქეთთან დაკავშირებით ადრეც იყო და ახლაც არის. ეს ინციდენტები, საომარი მოქმედებების გააქტიურებასთან ერთად, გახშირდება. სიტუაცია ადვილი ნამდვილად არ არის. თანაც ასეული ათასი დევნილის ფონზე, რომლებიც მუდმივად შედიან ევროპაში.

***— ეს ტერორიზმის საფრთხეს ზრდის?***

— პარიზის ტერაქტის ავტორების დიდი ნაწილი დასავლეთში მცხოვრები ადამიანები იყვნენ. თვითონ ევროპის ისლამურ ჯგუფებში იბადება ეს ტერორისტული პროცესები, რაც უფრო ართულებს სიტუაციას და ართულებს თავდაცვას ამ პროცესებისგან.

***— საქართველოსთვის რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი?***

— ერთი უარყოფითი, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს, არის ის, რომ შესაძლოა ევროპამ გადახედოს იმ პოლიტიკას, რომლის დიდი იმედიც საქართველოს ბოლო ხანებში გვაქვს. ნატოს გაფართოებისა თუ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

***— ჩვენ თუ გვემუქრება ისლამური სახელმწიფოდან მომავალი საფრთხეები. რას ფიქრობთ ბოლოდროინდელ ვიდეო მუქარებზე?***

— ეს საფრთხეები არის. მსგავსი მიმართვები ადრეც ყოფილა და ალბათ კიდევ ბევრი იქნება. თავისთავად საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, მათ შორის ნავთობის სატრანზიტო ქვეყანა, რომლის მიმართაც დიდ ინტერესს იჩენენ ისლამისტები, ინტერესის საგანი გახდება. საქართველო ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთი ხაზიცაა, რაც აგრეთვე ისლამისტების შემოსავლის წყაროა.

ასე რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელობა ამ კავკასიის დერეფანს აქვს ისლამისტებისთვის. შესაბამისად, ისინი შეეცდებიან ამ დერეფნის გაკონტროლებას.

***— ამ ფონზე როგორ უნდა მოქმედებდეს ჩვენი ხელისუფლება?***

— ჯერ ეს არის გასარკვევი, ვინ რა პოზიციას იკავებს ამ პროცესებში? ვისი იმედი უნდა გვქონდეს?! თუკი ასეთი საფრთხის წინაშე დადგა საქართველო, ევროპული სტრუქტურები რამდენად მზად არიან იმისთვის, რომ კავკასიური დერეფნის უსაფრთხოება დაიცვან.

***— როგორ ფიქრობთ, არ არიან ამისთვის მზად?***

— მათ ინტერესებში ეს უდავოდ უნდა იყოს, მაგრამ აქვთ თუ არა დღეს გაცნობიერებული ასეთი ამოცანა, საეჭვოა. იმიტომ, რომ მათ თავიანთი გასაჭირი აქვთ. ეს საკითხები რომ წამოიწევს და განიხილება, მერე შეიძლება საქართველომ რაღაც კონკრეტული პოზიცია დაიკავოს.



***— ამ ფონზე, კიდევ ერთხელ ხომ არ წამოიწევს წინა პლანზე პანკისის ხეობის პრობლემა?***

— რთული სათქმელია. თავის დროზე, ვაჰაბიზმი პანკისშიც ძლიერი იყო. თუმცა ახლა ლოკალიზაცია ვაჰაბიზმსაც არ აქვს და ის გავრცელდა სხვა რეგიონებშიც. ეს პროცესები გარკვეულ ხიფათს შეიცავს, მაგრამ მეტნაკლებად, რახან შეძლო საქართველომ ჩაეწყნარებინა პანკისის პროცესი, ამ გამოცდილების გაძლიერება შესაძლებელია და გასაკეთებელიც.

***— კონკრეტულად რა არის გასაკეთებელი?***

— იქ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც თვალი გაურბით ისლამური სახელმწიფოსკენ, აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნა, ასევე საგანმანათლებლო ცენტრების ჩამოყალიბება, თანაც ისე, რომ ეს პროცესი ნაძალადევი არ იყოს. ტერორიზმი და რადიკალური მოძრაობები, ნიადაგს იქ პოულობენ, სადაც კულტურის და განათლების დონე დაბალია.

# თორნიკე შარაშენიძე: „ერდოღანმა პუტინს სერიოზული სილა გააწნა“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ თურქეთ-რუსეთს შორის ინციდენტი ამ ეტაპისთვის ამოწურულია. პოლიტოლოგის განცხადებით, ერდოღანმა პუტინს სუ-24-ის ჩამოგდებით უჩვენა, რომ ის მასზე არანაკლებ ამბიციური ლიდერია.**

**თორნიკე შარაშენიძე:**



**„პუტინი თურქეთის რეაქციით შოკშია“**

— ჯერჯერობით რასაც ვუყურებთ, ჩანს, რომ რუსეთმა, კონკრეტულად კი პუტინმა, ეს ამბავი გადაყლაპა. ბუნებრივია, ასეთი მარტივი არ იქნება თურქეთთან ძიძგილაობა. ეს იცის პუტინმა და ამიტომაც გაჩერდა. თურქეთის არმია ძლიერია, კიდევ უფრო ძლიერია მისი ფლოტი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია მთელ ამ ყველაფერში ის, რომ თურქეთი ნატოს წევრია, შესაბამისად, მის უკან დგას ნატო. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, რა პასუხი უნდა გასცეს ამაზე რუსეთმა.

***— სხვა სახელმწიფო რომ ყოფილიყო, ნატოს არაწევრი ქვეყანა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა?***

— რა თქმა უნდა, რუსეთი პირდაპირ ომს გამოუცხადებდა. თუმცა, ფაქტია, რომ პუტინი ამას თურქეთს არ დაუვიწყებს. მეორე, რუსეთის ფედერაციის მთელი მოსახლეობა ახლა პუტინისგან ელოდება პასუხს. თუ პასუხს არ გასცემს პუტინი, თავისი მოქალაქეების თვალში იგივე ველარ დარჩება, ამას ის ვერ დაუშვებს. ამით მისი ავტორიტეტი ეჭვქვეშ დადგება, ის არავის არაფერს ასე მარტივად არ პატიობს.

***— რატომ მიიღო რუსული ბომბდამშენების ჩამოგდების გადაწყვეტილება ერდოღანმა?***

— ერდოღანმა პუტინს დაანახა, რომ არანაკლებ ამბიციური ლიდერია და არანაკლებ ძლიერ სახელმწიფოს მართავს. რაც სხვა ლიდერებმა მოუთმინეს და გაუტარეს პუტინს, იგივე არ გააკეთა ერდოღანმა.

შარშან რუსულმა სამხედრო ავიაციამ ასევე დაარღვია შვედეთის საჰაერო სივრცე, მაგრამ მაშინ ამას დიდი ვნებათაღელვა არ მოჰყოლია, ყველა შეეგუა. ახლა თურქეთმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ ამას არ შეეგუება.

ამისთვის თურქეთის სახელმწიფოს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: პირველი, რამდენჯერმე დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე რუსეთის ავიაციამ. მეორე, რუსეთი ძირითადად სირიაში პროთურქ მოსახლეობას ბომბავს. პროთურქ ამბოხებულ მეომრებს, რომლებიც სირიაში სწორედ თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ. თურქეთს ყელში ამოუვიდა რუსეთის დაბომბვები, რომლებიც ტერორისტების წინააღმდეგ არც არის მიმართული.

***— თურქეთმა განაცხადა, რომ მათ 10-ჯერ გააფრთხილეს რუსეთი, რომ მის საჰაერო სივრცეს არღვევდნენ. პუტინმა ერთგვარად მოსინჯა თურქეთი?***

— რასაკვირველია, მოსინჯა. პუტინი ყოველთვის ყველაფერს ტესტავს, სად რამდენი გაუვა. გადმოწია საქართველოში საოკუპაციო ზოლი, გაუვიდა, ინგლისის საჰაერო სივრცეს მიუახლოვდა, გაუვიდა, შეფრინდა სირიის საჰაერო სივრცეში, გაუვიდა. ამას პუტინი მიჩვეული იყო, მას გასდის და აკეთებს კიდეც, მაგრამ ახლა აღარ გაუვიდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მღებრიშვილი 55-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა

გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს მომსახურების სააგენტოში თბილისის 55-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელებს უმასპინძლა.

შს მინისტრმა სტუმრებს სააგენტოს ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინა და არსებული სერვისები გააცნო.

გიორგი მღებრიშვილი მოსწავლეებს მართლწესრიგისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზეც ესაუბრა და საგზაო უსაფრთხოების შესახებ შს სამინისტროს ახალი პროგრამა გააცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ახალი ეტაპი მიმდინარე წლის ნოემბრიდან დაიწყო.

პროექტის მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. პროგრამაში ჩართულია როგორც თბილისის, ისე რეგიონების საჯარო და კერძო სკოლები.

პროექტის ფარგლებში, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები სკოლებში სალექციო ტიპის სემინარებს ატარებენ. ასევე ეწყობა გასვლითი, საექსკურსიო-პრაქტიკული ვიზიტები შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# პატრიოტთა ალიანსი ბრძოლას არ წყვეტს

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" გუშინ წერდა, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა თბილისის ცენტრში 8 ნოემბერს დაწყებული შიმშილობის აქცია შეწყვიტა.**

**აქციის შეჩერების საფუძველი გახდა ხელისუფლების დაპირება. გაიმართა ალიანსის ლიდერების შეხვედრები ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძესთან, ასევე ზვიად კვაჭანტირაძესთან და ეკა ბესელიასთან.**

პარლამენტის უმრავლესობამ ოპოზიციის შიმშილობის დაწყებიდან მე-16 დღეს გამოაცხადა, რომ მზადაა დიალოგისთვის.

მთავარი თემა, რომელზეც საკანონმდებლო ორგანო განიხილავს მოაწყობს, არჩევნებში მონაწილეების თანასწორობაა. პატრიოტთა ალიანსი მოითხოვს, რომ ყველა კვალიფიციურ პარტიას ჰყავდეს წევრები საარჩევნო კომისიებში, ასევე ჰქონდეს თანაბარი საბიუჯეტო დაფინანსება და საეთერო დრო. დანარჩენ საარჩევნო საკითხებზე ოპოზიცია შესაძლებლად თვლის კონსულტაციების გამართვას.




## „რესპუბლიკელებს დასავლეთშიც ვამხელთ"

პატრიოტთა ალიანსი უარს არ ამბობს თავის კიდევ ერთ მოთხოვნაზე – ესაა 31 ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნებისას მომხდარი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეების დასჯა. დამნაშავეებში იგულისხმებიან არჩევნების გამყალბებლები, ასევე ის ჩინოსნები, რომლებიც ამომრჩეველს აშინებდნენ და მასზე ზეწოლას ახდენდნენ.



მთავარ გამყალბებლებად ალიანსელები მიიჩნევენ თავდაცვისა და გარემოს დაცვის რესპუბლიკელ მინისტრებს, რომლებიც, მათი მტკიცებით, საგარეჯოში მუშაობდნენ თანაპარტიელი თამარ ხიდაშელის სასარგებლოდ.

– საქმე აღიძრა, მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ ხელისუფლება თავის თანამდებობის პირებს არ დასჯის, არც მინისტრებს გაათავისუფლებს. ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, დამნაშავეებს ჩვენ დავსჯით, – აცხადებს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი.

## „თუ საჭირო გახდა, 100-კაციან შიმშილობის აქციასაც მოვაწყობთ და 200-კაციანსაც"

მისივე თქმით, პარტია წყვეტს შიმშილობის აქციას და არა – ბრძოლას. საჭიროების შემთხვევაში კი, შიმშილობაც განახლდება:

– თუ საჭირო გახდა, 100-კაციან შიმშილობასაც გავმართავთ, 200-კაციანსაც. საერთოდ, ბრძოლას არ ვწყვეტთ. ამ დღეებში მე და ირმა ინაშვილი დასავლეთში ჩავალთ და უცხოელ კოლეგებს დავუმტკიცებთ, რომ არჩევნები გაყალბდა. უცხოელი პარტნიორების წინაშე ვამხელთ რესპუბლიკურ პარტიას. მათ ვაჩვენებთ რესპუბლიკელების ნიღაბს და იმ ხელისუფლების ნიღაბს, რომელიც მისი მხარდამჭერია.

თარხან-მოურავის შეფასებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუალედურ არჩევნებში პარტიის მონაწილეობას იმ დროს, როცა სხვებმა ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. მისი თქმით, ბოიკოტის მიზეზია ის, რომ ამ პარტიებს ირმა ინაშვილის მსგავსი ძლიერი კანდიდატურა არ ჰყავდათ.

– ამ არჩევნებმა გამოაჩინა რესპუბლიკური პარტიის და საერთოდ „ქართული ოცნების" ნიღაბი. ისინი არ არიან პროდასავლურები. მარტო „ნატო, ნატო"-ს ძახილი დასავლურ კურსს არ ნიშნავს. ისინი არ არიან ჰუმანურები. არიან გამყალბებლები. კიდევ გამოიკვეთა ის, რომ რესპუბლიკური პარტია ამ ხელისუფლების დირექტორია, – აცხადებს პარტიის ლიდერი.

იგი ხელისუფლების მიერ დიალოგის მზადყოფნასაც მიესალმება:

– კარგია, რომ ხელისუფლებამ იპოვა თავის თავში ძალა, რომ დაგველაპარაკოს.

# თეა წულუკიანი: „მჯერა, შოთაძე ბევრად უკეთესი პროკურორი იქნება, ვიდრე ამჟამინდელია"



საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, ირაკლი შოთაძე ყველა იმ მთავარ პროკურორზე უკეთესი იქნება, რომლებსაც ამ თანამდებობაზე უმუშავიათ.

თეა წულუკიანის თქმით, მას სჯერა, რომ ირაკლი შოთაძე სამართლებრივ რეფორმებს გაატარებს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის.

**თეა წულუკიანი:**

– მე მჯერა, რომ ირაკლი შოთაძე მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, თუკი მას პარლამენტი აირჩევს, იქნება ბევრად უკეთესი, ვიდრე არის თუნდაც ამჟამინდელი მთავარი პროკურორი. ის იქნება ყველა იმ მთავარ პროკურორზე უკეთესი, რომლებიც კი აქამდე გვყოლია.

მას ექნება იმის ღრმა რწმენა, რომ სამართლებრივი რეფორმების გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საქართველო და ამ რეფორმებში ჩვენ, იუსტიციის სამინისტრომ და ყველა სამართალდამცავმა ორგანომ უნდა ვიაროთ ხელიხელ ჩაკიდებული.

**ნიუსპრესი**

# თინა ხიდაშელი: „მზად ვართ, მსოფლიო მშვიდობისთვის მეტი კონტრიბუცია გავიღოთ"

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი სამშვიდობო ოპერაციების მიმართულებით გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს, ერვე ლადსუს, შეხვდა.

გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ შეხვედრაზე საერთაშორისო მისიებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის საკითხები განიხილეს.

**თინა ხიდაშელი:**

– შეხვედრაზე განვიხილეთ საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე, მსოფლიო უსაფრთხოების წინაშე და მათ შორის გაეროს სამშვიდობო მისიების ფორმატში. სულ რამდენიმე კვირის წინ, გაეროს მისიას გენერალი ჩაჩიბაია შეუერთდა, რომელიც უკვე ავღანეთში იმყოფება და ამ ორგანიზაციაში ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა.

ჩვენ ვართ სრულ მზადყოფნაში იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი კონტრიბუცია გავიღოთ მსოფლიო მშვიდობისთვის. ძალიან გამოცდილი სამხედროები გვყავს, არა მხოლოდ გენერლები, მათ შორის პოლკოვნიკებიც და ჩვენი მხარდაჭერა შესაძლოა კიდევ უფრო ღირებული და ფასეული გახდეს იმ შეიარაღებული ძალებისთვის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გაეროს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამიტზე, რომელიც პრეზიდენტ ობამას მოწვევით სექტემბერში ნიუ-იორკში ჩატარდა, კონკრეტული დაპირება მისცა გაეროს და, შესაბამისად, ჩვენ უკვე დავიწყეთ მოქმედება.

◆ ◆ ◆

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სტუმრობისას, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა გაეროში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლად მირიან ფოფხაძე წარადგინა.

**ნიუსპრესი**





ოკუპირებული აფხაზეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა რუსეთის ხელისუფლებას მხარდაჭერას უცხადებს.

# რაულ ხაჯიმბა თურქეთის ქმედებას მკაცრად გმობს

ოკუპირებული აფხაზეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტის წერილში ნათქვამია, რომ დეფაქტო სოხუმი რუსეთის ბომბდამშენის ჩამოგდებას აფასებს, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის შეჩერებაში რუსეთის ძალისხმევისთვის ზიანის მიყენებას, რასაც აფხაზეთი „მკაცრად გმობს".

– ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება საკადრის შეფასებას მისცემს ამ მიუღებელ ქმედებებს, რამდენადაც ეს შეესაბამება თანამშრომლობის ინტერესებს ტერორიზმთან ბრძოლაში, რომლის მსხვერპლიც სხვადასხვა სახელმწიფოს ათასობით მოქალაქე გახდა, – წერს ხაჯიმბა.

ოკუპირებული აფხაზეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი აფხაზეთის სახელით რუსეთს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

**ნიუსპრესი**

# ნინო ბურჯანაძე ასტანაში შეხვედრებს მართავს



პარტია დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქმიანი ვიზიტით ასტანაში იმყოფება. დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ქალთა საერთაშორისო საიუბილეო ფორუმზე საპატიო სტუმრადაა მიწვეული.

ფორუმის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებული საზეიმო კონფერენციაზე ნინო ბურჯანაძე სიტყვით გამოვიდა. ფორუმზე საუბარი შეეხო მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, ქალთა როლს და ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში და რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების საკითხებს.

ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ასტანაში კვირის ბოლომდე გაგრძელდება. დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები ყაზახეთის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან.

**ნიუსპრესი**

# საქართველოს ევროკომისარი იოჰანეს ჰანი ეწვევა

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" არაფორმალური დიალოგის მეექვსე შეხვედრის ფარგლებში საქართველოს 26-27 ნოემბერს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი ეწვევა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ევროკომისარი ხვალ მონაწილეობას მიიღებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" არაფორმალური დიალოგის მეექვსე შეხვედრაში.

27 ნოემბერს დაგეგმილია ევროკომისარის შეხვედრები საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის ოფიციალურ პირებთან, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

ამასთანავე, ევროკომისარი მონაწილეობას მიიღებს საჯარო ღონისძიებაში – „ახალი ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები".

– აღსანიშნავია, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების საკითხებ-



ში ევროკომიასრი საქართველოს წელს უკვე მეორედ ეწვევა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებას ჩვენი ქვეყნისადმი, – აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

# თორნიკე შარაშენიძე: „ერდოღანმა პუტინს სერიოზული სილა გააწნა"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მე-19 საუკუნეში რუსეთმა თურქეთი საკმაოდ მძიმედ ორჯერ დაამარცხა. პუტინი აქამდე ფიქრობდა, რომ თურქეთს მისი ეშინია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აღარ ეშინია. აშკარად სერიოზული შოკი იყო პუტინისთვის ერდოღანის ნაბიჯი. ეს მას მეტყველებაზეც ეტყობოდა. ჯერჯერობით ამ ყველაფერზე პუტინს პასუხი არ აქვს. ერდოღანმა სერიოზული სილა გააწნა პუტინს. რუსეთი, ბუნებრივია, ომს ვერ გამოუცხადებს თურქეთს, გაზს ველარ გადაუკეტავს ასე მარტივად.

***– რუსეთის ხელში ენერგომატარებლები ყოველთვის პოლიტიკური იარაღია. თურქეთი ალტერნატივისთვის მზად არის?***

– როგორც ჩანს, თურქეთს ალტერნატიული წყაროები გააჩნია გაზმომარაგების, რადგან გაზის საკითხი არ ადარდებს.

***– თქვენ თქვით, რომ პუტინი შოკშია, რატომ? არ ელოდა?***

– რა თქმა უნდა, არ ელოდა. ის მიჩვეულია, რომ ყველაფერი ყველასთან გასდის, მაგრამ საქმე აქვს ერდოღანთან, რომელიც არანაკლებად ამბიციურია და თან ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ახლახან მოიგო არჩევნები. ერდოღანი არის ლიდერი, რომელიც თვლის, რომ ათათურქის შემდეგ პირველი ლიდერია, რომელიც თურქეთს ჰყოლია თავის ისტორიაში, ამიტომ ის უპასუხოდ ვერ დატოვებდა რუსეთის გამოხდომას.

***– ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ნატოს წევრი ქვეყნები მესამე მსოფლიო ომს არ დაუშვებენო. ამ შემთხვევაში რუსეთს აჩერებს თურქეთი თუ ნატოს წევრი ქვეყნები?***

– ფაქტია, რომ რუსეთი გაჩერებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში აქამდე პროცესები განვითარდებოდა. რუსეთი თუ დაიწყებს ძალის დემონსტრირებას, შავ ზღვაში ნატოს ფლოტი გამოჩნდება, ინტენსიურად დაიწყებს ამერიკული ხომალდები შემოდინებას შავ ზღვაში, რაც ჩვენ გვაწყობს. ცხადია, ეს კარგად იცის პუტინმა და ამიტომაც არის გაჩერებული.

***– ეს ყველაფერი რამდენად შეიძლება შემაკავებელი აღმოჩნდეს რუსეთის აგრესიული პოლიტიკისა საქართველოს მიმართ?***

– ამ ფაქტმა გამოაჩინა, რომ როგორც კი რუსეთი ძალას დაინახავს, უკან იხევს. მითია, რომ პუტინს არაფრის ეშინია და მისი ყველას ეშინია.

***– პუტინის ინტერესებში რატომ არის ასადის რეჟიმის გადარჩენა? რატომ ბომბავს მის ოპოზიციას?***

– პუტინის მთავარი ინტერესია, რომ ასადის რეჟიმი გადაარჩინოს როგორმე და არა ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლა. ასადის რეჟიმი არის მისი უკანასკნელი დასაყრდენი რეჟიმი ახლო აღმოსავლეთში, სადაც მას ამბიციები გააჩნია. მეორე, ასადის წყალობით, რუსეთს ბაზა აქვს ხმელთაშუა ზღვაზე, ეს არის საზღვაო ბაზა. ეს ორი ფაქტორია და სხვა არაფერი, რის გამოც ის ცდილობს, როგორმე ასადის რეჟიმი გადაარჩინოს.

***– ამ ინციდენტიდან გამომდინარე, რამდენად არის ნატო ადეკვატური, რამდენად პასუხობს ის გამოწვევებს?***

– ფაქტია, რომ ნატოს ლიდერები შეიკრიბნენ და მკაცრად დააფიქსირეს, რომ ისინი თურქეთს უჭერენ მხარს და მის პოზიციებს დაიცავენ.

# კურტანიძე ქუცნაშვილს
# დედის წინ მორბენალი კვიცი მგელმა შეჭამაო

შორენა მარსაგიშვილი

**საყოველთაო გმობის და შეჩვენების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ პრემია-დანამატებზე უარს არ ამბობს. უფრო მეტიც, მეოცნებეები მზად არიან, პრემიების გულისთვის თანამებრძოლებსაც კი დაუპირისპირდნენ.**

**პრემია-დანამატის თემაზე ოცნებაში განხეთქილება ზაქარია ქუცნაშვილმა შეიტანა. მან მოამზადა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, რამდენიმე ასეულ მაღალი თანამდებობის პირს პრემიის მიღება კანონით აეკრძალებოდა. დეპუტატის მტკიცებით, ამით 10 მილიონამდე ლარი დაიზოგებოდა.**

ამ კანონპროექტის გამო, მეოცნებე ქუცნაშვილი ნაციონალებმა რამდენიმე გზის შეაჩვენეს. გაგიკვირდებათ და ქოცებს თანამებრძოლის დასაცავად ხმაც კი არ ამოუღიათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ კანონპროექტი მათ საფულესაც შიშის ზარს სცემდა.

ქუცნაშვილის პროექტი მეორე მოსმენისას ჩავარდა. გადამწყვეტ მომენტში კოლეგას ზვიად ძიძიგურმა და ლევან ბერძენიშვილმა უმუხთლეს. მოგვიანებით ორივემ განაცხადა, რომ პრემიები აუცილებელია.

კოლეგების მიერ ზურგში ჩაცემულმა ლახვარმა კანონპროექტის ავტორი გაანაწყენა. ქუცნაშვილმა თავის გულის დარდები ჟურნალისტებს გაუზიარა ინტერვიუში. მისმა განცხადებებმა მეოცნებეები აღაშფოთა. თავისი აღშფოთება ლუკა კურტანიძემ პლენარულ სხდომაზე დააფიქსირა.

მან პრემიების რისხვას აუხსნა, რომ მედიის საშუალებით კოლეგების ავკარგიანობაზე საუბარი არ შეიძლება.



**ხელისუფლება პრემიებს არ დათმობს**



მისივე განცხადებით, ქუცნაშვილმა ამ ინტერვიუებით საკუთარი თანამებრძოლები დაამცირა.

— ჩემს კოლეგას, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, შევახსენებ, რომ ჩვენ, ყველანი ვართ ერთი გუნდი. ერთი სიცოცხლე დავდეთ ერისკაცის ლიდერობით სამშობლოს გადასარჩენად. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი შიგნით, გუნდში კომუნიკაციით, მსჯელობით და თუნდაც კამათით უნდა შევაჯეროთ და არა სააშკარაოზე გამოვიტანოთ, — აღნიშნა კურტანიძემ.

მან კოლეგას შეახსენა, რომ ხალხი „ქართულ ოცნებაში“ ქვეყნის გადასარჩენად გაერთიანდა და არა — ხელფასისთვის.

— თქვენი ინტერვიუ არის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი თითოეული თქვენი გუნდის წევრისთვის. ამავე დროს, ჩვენი გუნდის წევრების უმრავლესობა აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში, იდეის, სამშობლოს გადარჩენისა და უკეთესი მომავლისთვის გაერთიანდა და არა — ხელფასის ან სხვა პრიორიტეტების გამო, — მიმართა პრემიების რისხვას შეურაცხყოფილმა დეპუტატმა.

კურტანიძე აღიარებს, რომ პრემიების ამბავში მართლაც არის პრობლემა და მას გამოსწორება სჭირდება. ამ ეტაპზე მას ის აინტერესებს, მისი კოლეგა ამ თემით არჩევნების მოახლოების ჟამს რატომ დაინტერესდა.

— ვეთანხმები, რომ ბევრი რამ მოსაწესრიგებელია ამ მხრივ, მაგრამ ეს შეიძლება რამდენიმე წლით ადრე გაგხსენებოდათ და არა ახლა, რამდენიმე თვით ადრე, როდესაც არჩევნები წინ მოგვადგა, — აღნიშნა კურტანიძემ.

ის კოლეგას სხვა კოლეგების განკითხვის გამო საყვედურობს და მგლის მიერ იმ კვიცის შეჭმის ამბავს ახსენებს, რომელიც დედის წინ მიკუნტრუშობდა. მისი თქმით, აჯობებდა, ქუცნაშვილს ეს საკითხი გუნდის შიგნით განეხილა.

— ნუ ეძებთ უკეთეს თანამებრძოლებს, როგორც თქვენ ამ ინტერვიუში აღნიშნავთ, რადგან ამ გუნდმა მოგიყვანათ იქ, სადაც ხართ. ამ გუნდში ყველა თავის საქმის პროფესიონალია და ბრძოლის დროს ყველანი ულალატონი არიან. ამ გუნდთან თქვენ არ გიმსჯელიათ, არ გიკამათიათ ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე და ამის მიუხედავად, თქვენ სააშკაროზე, საზოგადოდ გამოიტანეთ ამა თუ იმ პარლამენტარის ავკარგიანობა, სააშკარაოზე გამოიტანეთ ამ ადამიანების განკითხვა მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები გეთანხმებიან ამ საკითხზე, — ამბობს დეპუტატი.

ის კოლეგას მკაცრად დაფიქსირებული პოზიციის გამო ბოდიშისმაგვარს უხდის, მაგრამ იქვე დასძენს, რომ სხვა დროს, შესაძლოა, უფრო მკაცრიც კი იყოს.

— მინდა, უბრალოდ შეგახსენოთ, რომ შესაძლებელია, მე ვარ ძალიან მკაცრი, მაგრამ როდესაც საქმე ეხება თანამებრძოლების ღირსებას, შესაძლებელია, უფრო მკაცრიც ვიყო. შეგახსენებთ ერთ ქართულ ანდაზას: დედის წინ მორბენალი კვიცი მგელმა შეჭამაო. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, თითოეულ თანამებრძოლს გაუფრთხილდით და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ბრძოლა ღირსეულად მოიტანა, — აღნიშნა კურტანიძემ.

◆ ◆ ◆

იმ დროს, როცა პარლამენტში პრემიების გამო ერთმანეთს განიკითხავდნენ, დედაქალაქის მერი კბილებით იცავდა პრემიებს. ის ცოცხალი თავით არ აპირებს ამასთან შელევას.

პრემიები და დანამატები მერიის მიერ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# მიხეილ სააკაშვილს სცემეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კვლავ შარშია. უკრაინის ხელისუფლების ნაწილს ის ღიად უპირისპირდება. მათ მიმართ ჩვენი ნაპრეზიდენტალი აგრესიას ძირითადად ტელეეთერებიდან აფრქვევს.

მთავრობის მორიგი გმობა მას შედარებით ძვირი დაუჯდა. გადაცემაში მასთან ერთად მყოფმა ნიკოლაი შურიკოვმა ხელი გაარტყა.

უკრაინული მედიის ცნობით, შურიკოვს ჩვენებურისთვის სახის გალამაზება სურდა, მაგრამ სააკაშვილი ნამეტანი მაღალი იყო და მოქნეული ხელი მხოლოდ მხრამდე მისწვდა.

ინციდენტი სლავიკ შუსტერის გადაცემის დასრულების შემდეგ მოხდა. სააკაშვილის და შურიკოვის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაყურებელს პატივი სცეს და ეთერში ერთმანეთი მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ეპითეტებით შეამკეს.

ოდესის პორტთან არსებული ქარხნის დირექტორის მოადგილე ნიკოლაი შურიკოვი ნაპრეზიდენტალს გადაცემის დაწყებისთანავე აუშარდა.

უკრაინული მედიის ცნობით, სააკაშვილმა ოდესის პორტის საწარმოს ბუნებრივი აირის კონტრაქტი გააკრიტიკა. შურიკოვი კი თავად სააკაშვილის ქმედებებს აკრიტიკებდა.

— თქვენ უკრაინის სახელმწიფოს მტერი ხართ. დაანგრიეთ ის, რაც საქართველოს ჰქონდა. ახლა კი დასანგრევად აქ ჩამოხვედით. ჩვენ ამ საუბარს ერთი თვის შემდეგ დავუბრუნდებით, როდესაც დავამტკიცებ, რომ მე ეფექტური მენეჯერი ვარ. თქვენ კი ცრუობთ ვიღაცებთან საეჭვო კავშირთან დაკავშირებით, — აღნიშნა შურიკოვმა.

სააკაშვილმა საეჭვო კავშირებში მასაც, მამის სეხნიასაც დასდო ბრალი და შურიკოვს დაჰპირდა, უკრაინას არ გაგაძარცვინებო.

— მე, როგორც უკრაინის მოქალაქე, არ მოგცემთ უფლებას, ეს ქვეყანა გაძარცვოთ. თქვენ არ გაწყობთ ქართველები ოდესაში, რადგან ადრე თქვენ მფარველებთან იყავით შეკრულები, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც ირკვევა, სააკაშვილსა და შურიკოვს ცემა-ტყეპამდე რამდენიმე დღით ადრე დაეძაბათ ურთიერთობა.

როგორც უკრაინული მედია წერს, 20 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილი საწარმოს ეზოში პრესის წარმომადგენლებს შეხვდა და აღნიშნული ქარხნის კორუფციული სქემის შესახებ ისაუბრა.



◆ ◆ ◆

ბოლო პერიოდში ჩვენებური უკრაინული თოქშოუების სასურველი სტუმარი გახდა. ნებისმიერი გადაცემა, რომელშიც ის მონაწილეობს, სკანდალებით და წივილ-კივილით მთავრდება.

ნაპრეზიდენტალი ყველაზე მეტად პრემიერ არსენ იაცენიუკსა და დნეპროპეტროვსკის ექს-გუბერნატორ კოლომოისკის მტრობს. ახლა მათ შურიკოვიც დაემატება.

# შაშკინი: „თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რუსეთის გიჟობებს აბალანსებს“



**საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ნიუპოსტს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის მესამე მსოფლიო ომში გადაზრდის ალბათობასა და თურქეთის მიერ რუსული სუ 24-ის ჩამოგდების მიზეზებზე ესაუბრა.**

დიმიტრი შაშკინი ამბობს, რომ თურქეთმა რუსული თვითმფრინავი იმ დროს ჩამოაგდო, როდესაც სუ 24 ე.წ. სირიელ თურქმენებს ბომბავდა. თურქეთთან საზღვარზე დაახლოებით 3,5 მილიონი სირიელი თურქმენი ცხოვრობს, თურქეთი მათ საკუთარ ერს უწოდებს.

— ერდოღანმა რამდენჯერმე მიმართა პუტინს, რომ ამ ტერიტორიის დაბომბვა შეეწყვიტა, რადგან ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს ხალხი, რომელიც თავის თავს იცავს ასადის რეჟიმისგან. ამ ხალხს მხარს უჭერს თურქეთი. რუსეთი ბომბავდა არა ისლამურ სახელმწიფოს, არამედ — თურქმენებს. იყო ბევრი გაფრთხილება, რომ ეს არ გაეკეთებინათ. მეორე მიზეზი თურქეთის ქმედებისთვის არის ის, რომ რუსული თვითმფრინავი შეიჭრა მათ ტერიტორიაზე და ლოგიკურია, რომ ჩამოაგდეს, — აცხადებს დიმიტრი შაშკინი.

***— რა მოხდება ამის შემდეგ? თურქეთი ამბობს, რომ საზღვრებს კვლავ დაიცავს, პუტინი ზურგში დანაჩარტყმულის პოზიციაშია.***

— თუ თქვენ გაინტერესებთ, მოჰყვება თუ არა ამ დაძაბულობას ომი, სიტუაცია სამხედრო დაპირისპირებამდე არ მივა. თურქეთი არის ქვეყანა, რომელიც მსოფლიო ჯარების ათეულში შედის. ამიტომ ამ ყველაფერს რუსეთის მხრიდან საბრძოლო მოქმედებები არ მოჰყვება.

ფაქტია — შეიცვლება წესები. როდესაც რუსეთი სირიაში შეძვრა, მე ვთქვი, რომ ეს ძალიან ბევრ რამეს გააფუჭებდა. ასეც მოხდა. წლების განმავლობაში რუსეთი ცდილობდა, თურქეთთან ეკონომიკური პოტენციალის გამო ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინა. მას შემდეგ, რაც რუსეთი სირიაში შეიჭრა, ეს ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

***— რუსეთის პროვოკაციული პოლიტიკის გათვალისწინებით, რა იქნება მისი შემდგომი ნაბიჯი?***

— რუსეთის პასუხი, რა თქმა უნდა, იქნება. კრემლი ეს-400 კომპლექსებს სირიაში დააყენებს, ახალ პროვოკაციებს დაგეგმავს, მაგრამ მთავარი რაც მოხდა და რაზეც არავინ საუბრობს, არის ის, რომ თურქეთმა აჩვენა, რომ ის რეგიონში მთავარი მოთამაშეა, — აღნიშნავს თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

## „ჩვენმა ხელისუფლებამ რუსეთთან ფლირტი უნდა შეწყვიტოს“

ის ფიქრობს, რომ ერდოღანი არ შეუშვებს რუსეთს იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისი ინტერესების ქვეშ არის.

— ძალიან ბევრი კითხვა იყო, როდესაც ირანის ოკუპაციით იმუქრებოდა რუსეთი, რას იზამდა თურქეთი. თურქეთმა თავისი ინტერესების დაცვის გზა აირჩია. ამ ქვეყნის მთავრობამ ამ ნაბიჯით მკაფიო მესიჯი გაუგზავნა ყველას, რომ არ დათმობს თავის პარტნიორებს. ეს მნიშვნელოვანი მესიჯია იმ დროს, როდესაც მოსალოდნელი იყო რუსეთის მხრიდან აზერბაიჯანზე ზეწოლა, — აცხადებს დიმიტრი შაშკინი.

შაშკინის თქმით, თურქეთი აზერბაიჯანში ხედავს არა მარტო სტრატეგიულ პარტნიორს, არამედ მოძმე ერს. თურქეთმა დიდი მესიჯი გაუგზავნა ყველას, რომ ის ამ რეგიონში თავის ინტერესებს დაიცავს და არ მისცემს რუსეთს იმ „ბეზპრიდელის“ უფლებას, რასაც ის უკრაინასა და ამიერკავკასიაში ახორციელებს.

— როდესაც თავდაცვის მინისტრი ვიყავი, ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ რეგიონის უსაფრთხოება დიდწილად დამოკიდებულია თურქეთის პოზიციაზე. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც რუსეთის გიჟობებს აბალანსებს, არის თურქეთი.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ჩვენმა მთავრობამ გაიგოს. მთავრობამ, რომელიც მუდმივად ცდილობს, რომ ეთამაშოს რუსეთს და აუხსნას თავისი სიყვარული. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, ხელისუფლებამ ქვეყანა ისეთ შარში გახვიოს, რომლიდანაც ვერ გამოვძვრებით.

თურქეთმა არა მხოლოდ თვითმფრინავი ჩამოაგდო, არამედ ყველას გაუგზავნა მესიჯი, რომ ის არის ძალა, რომელიც რეგიონში რუსეთს დააბალანსებს. ეს ძალიან მკვეთრად გვეხება ჩვენ და ჩვენს მთავრობას, რომელმაც რუსეთთან ფლირტი უნდა შეწყვიტოს.

დათო ჯაბაშვილი, ნიუპოსტი

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# სასამართლო ქვეყანაში საბანკო გარანტიების გამოყენების სტაბილურობას ცვლის

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საბანკო გარანტიების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, სამართლის სპეციალისტებსა და ბიზნესს წრეებში, განსხვავებული და კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.**

**თითქმის ყველა მათგანი თანხმდება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საბანკო გარანტიის გამოყენების ახლებურ მიდგომას გვთავაზობს, მოსამართლის მსჯელობა სახიფათოა შემდგომ ბიზნეს ურთიერთობებისთვის და გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ერთი კონკრეტული ბანკის – „საქართველოს ბანკის“ შესაძლო ინტერესების გამომხატველი იყოს.**

– უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბიზნეს-სუბიექტებსა და სამეწარმეო გარემოს, – ასე ფიქრობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებიც“, რომელიც ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილება შეისწავლა და ფართო საზოგადოების წინაშე, დისკუსიისთვის წარმოადგინა.

ორგანიზაციამ 25 ნოემბერს საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ბრიფინგი გამართა. „ახალი თაობა“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მთავარ იურისტს, ანა კიკნაძეს ესაუბრა.

**ანა კიკნაძე, „ახალგაზრდა ადვოკატების“ მთავარი იურისტი:**

– ჩვენ დღეს რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს, გადაიხედოს 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით დამკვიდრებული პრაქტიკა და ამასთან, მივმართავთ უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს დამკვიდრებული პრაქტიკის კანონიერებისა და მართლზომიერების შესწავლის მიზნით.

საბჭო შედგება მოსამართლეების, სამართლის მოწვეული სპეციალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. ანა კიკნაძე ფიქრობს, რომ საბჭოს შეუძლია, მსგავს საკითხებს შესაბამისი ყურადღება დაუთმოს.

– საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაგრამ მსჯელობა საკითხზე, ტენდენციებსა და ასეთი გადაწყვეტილებებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების განვითარებაზე, მართებულად მიგვაჩნია ახლა, ვიდრე იდენტურ დავებზე სასამართლო ხელმეორედ მიიღებდეს სხვა გადაწყვეტილებებს, – აცხადებს ანა კიკნაძე.

მისი აზრით, სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, ფართო გაგებით, სამოქალაქო კოდექსით საბანკო გარანტიის გამოყენების მიზანს, დანიშნულებას, სამართლებრივ სტატუსს უკარგავს, ამკვიდრებს არამართლზომიერ პრაქტიკას, რაც ზიანს აყენებს ჩამოყალიბებულ სამეწარმეო ურთიერთობებსა და



ბიზნეს-საქმიანობას.

– დაშვებული პრეცედენტი საშუალებას აძლევს კომპანიებს, მოიქცნენ არაკეთილსინდისიერად, მიიღონ შესრულებაც და, ამავე დროს, მიიღონ საბანკო გარანტიაც, რის შედეგადაც, შემსრულებელი კომპანიები იღებენ დიდ ზიანს, ხოლო დამკვეთი კომპანიები უსაფუძვლოდ მდიდრდებიან, – აღნიშნავს იურისტი.

***– რა გაძლევთ ასეთი მკვეთრი დასკვნების საფუძველს და თუ შეიძლება განმარტოთ, რა გადაწყვეტილება მიიღო საკასაციო სასამართლომ, რომელიც კრიტიკის საგანი გახდა?***

– ჩვენმა ორგანიზაციამ შეისწავლა სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლის დაინტერესებული მხარეა ს.ს „საქართველოს ბანკი“ და მისი შვილობილი კომპანია „დაირექტ დებიტ ჯორჯია“.

ბანკის შვილობილ კომპანიასა და შემსრულებელ სუბიექტს შორის არსებობდა 2012 წლის მარტში გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელი კომპანია ვალდებული იყო, 170 ცალი ფეიბოქსი საკუთრებაში გადაეცა შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-სთვის. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასა“ და ს.ს „პრივატბანკს“ შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, შემსრულებელი კომპანიის სასარგებლოდ გაიცა საბანკო გარანტია 200.000 ლარის ფარგლებში.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, შემსრულებელმა კომპანიამ სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ბანკის შვილობილი კომპანიის მიმართ, ამავე დროს, საბანკო გარანტიის მიღებაც წარმოადგენდა კანონიერს.

ანა კიკნაძე ამბობს, რომ საკასაციო სასამართლოს მსჯელობა არამართლზომიერია, ვინაიდან საბანკო გარანტია არ შეიძლება გაგებულ

## რა მიზნები აქვს „საქართველოს ბანკს“, თუკი ბანკი საბანკო გარანტიების გამოყენებას კვლავინდებურად არაკეთილსინდისიერად მიუდგება

იქნეს იმგვარად, რომ ბენეფიციარს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს როგორც შესრულება, ასევე საბანკო გარანტიით განსაზღვრული ზიანის საკომპენსაციო თანხა.

– საბანკო გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად, მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ბენეფიციარის მიერ საკუთარი სურვილის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში, მისაღებ კომპენსაციად, – აცხადებს იურისტი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას, საბანკო გარანტია თავისი არსებით წარმოადგენს მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას ანუ იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი კომპანია ვერ შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა საბანკო გარანტიის მიღება.

– მოცემული შემთხვევის მიხედვით, კომპანიამ შეასრულა სრულად ნაკისრი ვალდებულება, მიაწოდა შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ ფეიბოქსები, თუმცა ნაწილი მიაწოდა ვადაგადაცილებით, ამავე დროს, ვადის გადაცილების გამო, პრეტენზია არ გამოუთქვამს შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“, – აღნიშნავს ანა კიკნაძე.

მისი თქმით, ბანკის შვილობილმა კომპანიამ მას შემდეგ, რაც სრულად მიიღო ნასყიდობის საგანი, ჩაიბარა ფეიბოქსები, მიმართა ს.ს „პრივატბანკს“ და მოითხოვა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად გადახდა. შედეგად მიიღო 200.000 ლარი, რაც, მისი განმარტებით, წარმოადგენდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს.

– ეს ცალსახად არასწორია. საბანკო გარანტიის უკანონოდ მიღების საფუძველზე, მხარეებს შორის დავა სასამართლოში გაგრძელდა. შემსრულებელმა კომპანიამ პირველი ქვედა ინსტანციის სასამართლო წარმატებით მოიგო, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება აღმოჩნდა ცალსახად საბანკო გარანტიის გამოყენების ახლებურად შემფასებელი, – აღნიშნავს იურისტი.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა საკასაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული პრაქტიკის ჩამოყალიბებისკენ ნაბიჯის გადადგმა? ბოლო დღეების განმავლობაში საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შეხედულებები, რომ გადაწყვეტილების ამ ფორმით მიღებაში თავიდანვე დაინტერესებული იყო „საქართველოს ბანკი“, რომელმაც შეძლო დავის სასურველი შედეგით დასრულება.***

– ჩემთვის ცნობილი არ არის რაიმე გარემოებები, რომლებიც ბანკის ინტერესებს და სასამართლოზე გავლენის მოხდენას დაამტკიცებდა, თუმცა ასეთი შეხედულებების გავრცელებას ალბათ აქვს შესაბამისი არგუმენტიც.

ის ფაქტი, რომ სასამართლომ არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო, ეს უკვე ცხადია. რა ფაქტორების, ინტერესების გათვალისწინებით მივიდა მოსამართლე თავის შინაგან რწმენამდე, ბუნებრივია, საკამათოა.

ერთი რამ ცხადია – მიღებული გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლო ამკვიდრებს პრაქტიკას, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სამეწარმეო საქმიანობას, არამართლზომიერ და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს. დამკვიდრებული პრაქტიკა ალოგიკურია და ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს, რადგანაც გარანტიით გათვალისწინებული თანხის მიღება იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ხელშეკრულების მხარის მიერ დარღვეულია ძირითადი ვალდებულება.

ანა კიკნაძე ამბობს, რომ სასამართლოს არ გამოურკვევია და არც მხარეს წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ შემსრულებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის დარღვევით მას მიადგა რაიმე სახის ზიანი, რას შეადგენდა მიყენებული ზიანის ოდენობა.

– სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად მართებულად მიიღო ბანკის შვილობილმა კომპანიამ საბანკო გარანტია მაქსიმალური ოდენობა იმ ფონზე, როდესაც შემსრულებელი კომპანიის მიერ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაც.

გადაწყვეტილებით მხოლოდ ერთი მხარე აღმოჩნდა წარმატებული – „საქართველოს ბანკი“, მაგრამ ახლა საკითხავია, რა გავლენას იქონიებს ეს გადაწყვეტილება ახალ ბიზნეს ურთიერთობებზე, სადაც ადგილი საბანკო გარანტიის გამოყენებას შეეხება, – აცხადებს ანა კიკნაძე.

◆ ◆ ◆

„საქართველოს ბანკის“ ან სხვა დაინტერესებული მხარეების სურვილის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხის ირგვლივ მათ მოსაზრებებსაც გამოვაქვეყნებთ.

# მცირე მეწარმეები მყიდველთა შემცირებას უჩივიან



ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე დიდი დარტყმა მცირე ბიზნესს მიაყენა.

ბანკის სესხი, ყოველთვიური იჯარის გადასახადი, მყიდველთა რაოდენობის კლება – ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რაც აღნიშნულ სეგმენტს ბოლო დროს განსაკუთრებით დაეტყო.

ნიკოლოზ ლუტიძე ხელნაკეთი ნივთების მაღაზია-სახელოსნოს მფლობელია. „17 კვადრატი“ თითქმის ორი წელია, რაც ფუნქციონირებს. მაღაზიაში საკუთარ ნამუშევარს 35-40 ადამიანი აბარებს, მათი ძირითადი ნაწილი დამწყები დიზაინერია. მაღაზიას ამ ეტაპზე მუშაობა არ შეუწყვეტია, თუმცა გაკოტრების პირასაა მისული და გამოსავალს, რითაც საკუთარი მცირე ბიზნესის გადარჩენას შეძლებს, ველარ პოულობს.

– ვალი ვალს ემატება. პირველი არ ვარ, ვინც ასეთ დღეშია და სამწუხაროდ, ალბათ არც უკანასკნელი ვიქნები. მართალია, დაკეტვა გამოსავალი არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე სხვა გზას ვერ ვხედავ. გაყიდვები არის, მაგრამ კრიზისი იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზოგჯერ დიდი კომპანიებიც კი მიგვიანებენ თანხის ჩარიცხვას. მათთვის შესაძლოა 500-600 ლარი დიდი თანხა არ არის, მაგრამ ჩემი მცირე ბიზნესისთვის სერიოზული დანაკლისია, – აღნიშნავს ნიკოლოზ ლუტიძე.

მაღაზიის მფლობელი ამბობს, რომ გაყიდვებით მიღებული შემოსავალი ვალის დაფარვასაც ვერ აუდის, მომხმარებელი უპირატესობას შედარებით იაფფასიან პროდუქციას ანიჭებს, რადგან მათი დიდი ნაწილის საფულეში ყოველთვიურად ნაკლები თანხა რჩება „ზედმეტი“ ხარჯებისთვის.

– ჩინური და ზოგადად აზიური პროდუქცია, რომელიც ადგილზე 10-15 თეთრი ღირს, აქ 10 ლარად იყიდება, მაგრამ მომხმარებელი ჰყავს. ხელნაკეთ ნივთს თავად დიზაინერი ადებს საკუთარ ფასს და მე 30-დან 50%-იან მოგებაზე გათვლილ ფასად ვყიდი. უფრო ნაკლებად შეუძლებელია მაღაზიის მუშაობა, – ამბობს ნიკოლოზ ლუტიძე.

მისივე თქმით, ადგილმდებარეობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მყიდველი მიჩვეულია ხელნაკეთი ნივთების ლესელიძის ქუჩაზე არსებულ მაღაზიებში შეძენას. იქ კი, როგორც მაღაზიის მფლობელი ამბობს, კომერციული ფართის დასაქირავებლად საჭირო თანხა წარმოუდგენლად მაღალია.

რამდენიმე დღის წინ მაღაზიის გადასარჩენად ერთგულმა მომხმარებლებმა აქციაც კი დაგეგმეს სოციალური ქსელის მეშვეობით. აქციის ორგანიზატორის, ლაშა მესხის თქმით, ეს არ არის მხოლოდ ხელნაკეთი ნივთების უბრალო მაღაზია, ეს ერთგვარი ნავსაყუდელია ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის.

– ადგილობრივი წარმოების წახალისება კარგი საქმეა. მით უმეტეს იმ დროს, როცა ეკონომიკურმა კრიზისმა უამრავი მცირე მეწარმე დააყენა პრობლემის წინაშე. ბევრმა ბიზნესი საერთოდ დახურა. სამოქალაქო სოლიდარობა, თუნდაც ერთი პრობლემის მოსაგვარებლად, საჭირო და აუცილებელია, –აღნიშნავს ლაშა მესხი.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**

# კურტანიძე ქუცნაშვილს – დედის წინ მორბენალი კვიცი მგელმა შეჭამაო

**დასაწყისი მე-5 გვერდზე**

მომზადებულ ბიუჯეტშიც არის შეტანილი. ეს ბიუჯეტის ის პროექტია, გასულ კვირას საკრებულომ რომ ერთხმად დაიწუნა. წუნდების გამოსასწორებლად მერს რამდენიმე კვირა მისცეს.

დავით ნარმანია ამბობს, რომ საკრებულოს შენიშვნებს აუცილებლად გაითვალისწინებს. ზუსტად რას გაითვალისწინებს, ჯერ არ იცის, სამაგიეროდ, ღიად დებს პირობას, რომ პრემიები დედაქალაქის მერიასა და თბილისის მთავრობაში აუცილებლად გაიცემა.

იმპიჩმენტზე გადაცემის შიშით, იმასაც ამატებს, რომ ეს არ იქნება ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა.

– გამგეობებში კვლევა ჩატარდა და გამგეობების სტრუქტურის მოდერნიზაცია მოხდა. ეს იწვევს გარკვეულ ცვლილებებს შრომის ანაზღაურების ნაწილში, თუმცა აქ კონკრეტულად ხელფასების მომატებაზე საუბარი არ არის.

არ იზრდება კონკრეტული ადამიანების შრომის ანაზღაურება, სტრუქტურის ცვლილება მოხდა გამგეობების, საიდან გამომდინარეც გამგეობების ფუნქციები იზრდება და ემატება სტრუქტურული ერთეულები.

იმ ამოცანებიდან და ფუნქციებიდან ამოვდივართ ყოველთვის, რაც უნდა შეასრულონ შესაბამისმა სამსახურებმა, თუ სადმე რაიმე ცვლილება იქნება, მხოლოდ ამ თემასთან იქნება დაკავშირებული. პრემიები იმაზე მცირე იქნება, ვიდრე ეს ჩვენი წინამორბედების დროს იყო, – გვპირდება დავით ნარმანია.

პრემიების ამბავში მერის მოსაზრებას სულით-ხორცამდე იზიარებს ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ზურაბ ჩიკვილაძე.

მისი განცხადებით, ის მოხელე, რომელიც დაიმსახურებს, მიიღებს პრემიას და იქნება წახალისებული. ჩიკვილაძემ ჟურნალისტებს მიმართა, რომ ნუ უკვირთ, რადგან შესაბამის ანაზღაურებას და პრემიას ისინიც იღებენ.

– წინა წლების შემთხვევაში, ძალიან ბევრი საჯარო მოხელე იღებდა თვის განმავლობაში 2 და 3 პრემიას. ეს მანკიერება ჩვენთან უკვე აღარ არსებობს. კანონის შესაბამისად, ის მოხელე, რომელიც დაიმსახურებს, რომ იყოს პრემირებული ამა თუ იმ თვის განმავლობაში, ის აუცილებლად იქნება წახალისებული და პრემირებული. ნუ გიკვირთ, თქვენც იღებთ შესაბამის ანაზღაურებას და პრემიებს, ნუ გიკვირთ, – განაცხადა ინტრიგანების გასაგონად ჩუღურეთის გამგებელმა.

◆ ◆ ◆

პრემიებსა და დანამატებზე ცხოველთა მონიტორინგის სამსახურშიც წინასწარ იზრუნეს. 2016 წლის ბიუჯეტში ცხოველთა მონიტორინგისთვის გათვალისწინებულია 3,7 მილიონი ლარი.

ისევე, როგორც მიმდინარე წელს, ეს თანხებიც აქ დასაქმებულთა კომფორტს მოხმარდება.

– 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ცხოველთა მონიტორინგისთვის გათვალისწინებულია 3,7 მილიონი ლარი. 3.101.140 ლარი გამოყოფილია ხელფასის, დანამატის, პრემიის, მივლინების, წარმომადგენლობითი ხარჯის, ავტოტექმომსახურების, დაზღვევის, პოლიგრაფიული მომსახურების, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, ინტერნეტის, რემონტის, კომპიუტერული ტექნიკის და მსგავსი მომსახურებისთვის, – განუცხადეს „ახალი თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორში“.

ორგანიზაციის განმარტებით, 3,7 მილიონი ლარიდან რეალურ საჭიროებებზე მხოლოდ 220.500 ლარია გამოყოფილი. 220.000 ლარს ცხოველთა მოვლა-შენახვას მოახმარენ, 500 ლარს კი ცხოველების თავშესაფრების დეზინფექციისთვის გამოიყენებენ.

# „აჭარაში მუსლიმანების უფლებები არ ირღვევა“

## ინტერვიუ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან

გულიკო ბალაძე



***— ბატონო დიმიტრი, საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის სხვადასხვა მიზეზებზე საუბრობენ. თქვენ რა მიზეზებს ხედავთ?***

— ხვიჩა გობაძე 1993 წელს დაბადებული ახალგაზრდა კაცია. რალაც გზებით და საშუალებებით, ის დაუკავშირდა იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც მას იმგვარი განათლება მიაღებინეს, იძულებულია, საკუთარ თანამემამულეებში მტრები დაინახოს და თავს უფლებას აძლევს, გვემუქრებოდეს.

ხვიჩამ იმ ტიპის განათლება მიიღო ეგვიპტეში, რომელიც არ უკავშირდება ტრადიციულ ისლამს. ხვიჩა გობაძე არ არის ერთეული. მისი მამის კომენტარშიც იგრძნობა აგრესია და განაწყენება, თითქოს აჭარაში მცხოვრებ მუსლიმანებს ჯამეების აშენების საშუალება არ ეძლევათ.

***— კარგად ვიცი მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევართა მდგომარეობა აჭარაში. ისიც ვიცი, აჭარაში 1992 წლის შემდეგ, შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს, რამდენი ჯამე აშენდა. გობაძე რატომ უნდა გვსაყვედურობდეს? ასეთი მშენებლობების წარმოება რაღაც კანონის ფარგლებში არ უნდა ექცეოდეს?***

— ილია გობაძის კომენტარს იმიტომ შევეხე, მას დაკარგული აქვს სამართლიანობისა და ობიექტურობის განცდა. ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის დროს, აჭარაში 244 ჯამეს რესტავრაცია განხორციელდა და მოქმედი გახდა. როგორ შეიძლება, ამ პატარა მიწაწყალზე ასეთი რაოდენობის ჯამეებს ისლამის მიმდევრების კანონიერი სულიერი ინტერესები ვერ დაეკმაყოფილებინა? მით უმეტეს, ილია გობაძის შვილმა ბათუმის მედრესეში მიიღო პირველი განათლება და შემდგომ წავიდა ეგვიპტეში. ამიტომ ხელოვნურად, თითიდან გამოწოვილი საბაბია განხეთქილების ჩამოსაგდებად და სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით, ახალგაზრდების სხვა ქვეყნებში წასვლის მიზეზისთვის.

***— სწორედ იმის გამო ხომ არ მოხდა მათი რადიკალიზაცია, რომ წლების განმავლობაში ამ ბავშვებს მშობლიურ გარემოს წყვეტდნენ და მიზანმიმართულად საზღვარგარეთ მუსლიმანურ სასწავლებლებში აგზავნიდნენ?***

— საქართველოში პოლიტიკური ისლამის არსებობის ფაქტორები სულიერებაზე საუბრებს სცდება. ეს უნდა იყოს სპეცსამსახურების ინტერესის ობიექტი. ჩვენ მართლაც დავკარგეთ დრო, როდესაც შეიძლებოდა კანონის ფარგლებში კონტროლი განგვეხორციელებინა იმ ახალგაზრდა თაობაზე, რომლებსაც მაქსიმალურად იბირებდნენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები.

***— ფიქრობთ, რომ ამ საქმეში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ურევია?***

— დიახ. თურქეთის დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ ხდებოდა ამგვარი ახალგაზრდების დაინტერესება. ამას ჰქვია რელიგიური პროზელიტიზმი. რელიგიური პროზელიტიზმი არის, გარკვეული ფინანსური დაინტერესების ფასად, ადამიანის ჩაბმა რელიგიურ საკითხებში, რომელსაც სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო რელიგიასთან.

გობაძემ თქვა, აჭარაში მუსლიმანების უფლებები ირღვევაო. რეალურად კი, აჭარაში ქრისტიანები არიან შევიწროებულები. იძულებულები არიან, ისმინონ მოლის ძახილი. მეჩეთები ააშენეს და მინარეთები მიაშენეს, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდამდე აჭარაში არასოდეს ყოფილა. მიკროფონები ბოლო დონეზე აქვთ აწეული და მოლის ხმა ერთი კიდურიდან მეორემდე ისმის, არავის ერიდებიან.

ბელგიის სახელმწიფომ მუსლიმანებს უარი უთხრა მინარეთის დადგმაზე, კლასიკურ, ტრადიციულ მუსლიმანურ სახელმწიფოს არ წარმოვადგენთო და ეს საკითხი კანონით დაარეგულირა.

***— აჭარაში მოლა ქრისტიანებს დღენიადაგ არაბულად ლოცვებს თავზე დასძახის. რაში გამოიხატება მუსლიმანების შევიწროება?***

— 5 წლის წინ, შვეიცარიაში რეფერენდუმიც კი ჩატარდა, როგორ უნდა ყოფილიყო რეგულირებული ისლამური თემის საკულტო ნაგებობების, მინარეთების მშენებლობების საკითხი. შვეიცარიის საზოგადოებამ უარი განაცხადა მინარეთების მიშენებაზე. სწორედ არატრადიციული ხმების, სხვა რელიგიის წარმომადგენლების ხმამაღალი გამოძახილი ჩაითვალა, ზოგადად, ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტორად, ვინაიდან არ შეიძლება, შენი უფლებების რეალიზაციის პროცესში სხვის უფლებებს ეხებოდე.

# საქართველოში შემოსვლაზე უარი უცხო ქვეყნის 479 მოქალაქეს ეთქვა

შსს-მ საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ, საქართველოში სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების შედეგები გამოაქვეყნა.

სამინისტროს ინფორმაციით, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა 2015 წლის 14-დან 24 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით, საქართველოს 1 და უცხო ქვეყნის 31 მოქალაქე დააკავეს.

– 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის, დავალებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ყველა გამშვებ პუნქტში სავიზო კონტროლი გამკაცრდა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ახდენენ მგზავრებთან დეტალურ გასაუბრებას და მათი ვიზიტის ნამდვილი მოტივაციის გამოვლენას. განსაკუთრებული ყურადღებით მოწმდება ქვეყანაში შემომსვლელთა სამგზავრო დოკუმენტები, კონტროლდება სატრანზიტო მგზავრთა ნაკადი, რათა მაღალი რისკების მქონე ქვეყნების მოქალაქეები, საქართველოს გავლით, სხვა ქვეყნებში არალეგალურად არ მოხვდნენ. ზემოხსენებული პროცედურები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტარდება.

2015 წლის 14 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის გავლით, საქართველოში შემოსვლაზე უარი უცხო ქვეყნის 479 მოქალაქეს ეთქვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების მიზნით, გაძლიერდა სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა და მოხდა დამატებითი ძალების მობილიზება.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა 2015 წლის 14-დან 24 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით, საქართველოს 1 და უცხო ქვეყნის 31 მოქალაქე დააკავეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც აგრძელებს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობას, რომ დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოება, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**



# ეკა ბესელია ნაციონალებს – შუბლის ძარღვი სად გაქვთ?!

გაეროს კლიმატის ცვლილების პარიზის კონფერენციასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის განცხადების პროექტის განხილვისას, უმცირესობის წარმომადგენლებმა პროექტ „პანორამა – თბილისზე“ გაამახვილეს ყურადღება და განაცხადეს, რომ პროექტი ძველ თბილსსა და ქალაქის ეკოლოგიას ანადგურებს.

მათივე განცხადებით, „ერთი ადამიანის ახირების გამო“, 600 ძირი ჯანმრთელი ხის მოჭრის ნებართვა უკვე გაიცა.

ამ კონტექსტში ოპოზიციონერმა დეპუტატმა კობა სუბელიანმა აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებით ოპოზიცია სულ იმას ამბობდა, რომ პროექტები ერთი კაცის ახირებითა და ჭკუით კეთდებოდა და ამ მოსაზრებების გამო თბილისისათვის მნიშვნელოვანი პროექტები გაჩერდა.

მისივე თქმით, ახლა „პანორამა – თბილისი“, რომელიც გაუმართლებელი პროექტია, სწორედ ერთი კაცის ახირებით კეთდება. ამასთან, უმცირესობის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში ბიძინა ივანიშვილი საკუთარ გზას იშენებს.

ნაციონალური მოძრაობის შეფასებებს ეკა ბესელიამ კრიტიკით უპასუხა.

ეკა ბესელია:

– გვეკითხებიან, რას ვფიქრობთ იმ ერთ კაცზე, უკარინაში რომ არის და იქიდან სისხლიანი რევოლუციური სცენარის განხორციელებას გავალებთ, იმ ერთ კაცზე, რომელიც საკუთარ პიჯაკს ხალხის ნაძარცვი ფულით ყიდულობდა და რას ვფიქრობთ იმ ერთ კაცზე, რომელმაც ქვეყანას 2 მილიარდი დაახარჯა, მათ შორის ყველა იმ პროექტს, რომელსაც თქვენ იბრალებდით და ამბობდით, რომ თქვენი გაკეთებული იყო.

ამ ორი ადამიანის შედარებაზე თუ გველაპარაკებით, მაინტერესებს შუბლის ძარღვი სად გაქვთ?! რომელი ადამიანი იყო, დევნილს პირიდან ლუკმას რომ აცლიდა და მისთვის განკუთვნილი ნივთი სახლში რომ მიჰქონდა. პირადი მზარეულებისთვის და პირადი სიამოვნებისთვის ხალხისთვის წაგლეჯილი ფული რომ მიჰქონდა არის ის ერთი კაცი, რომელიც დღეს თქვენი ბელადია.

თუ გაინტერესებთ რას აკეთებს ის მეორე ადამიანი, ამის დიდი ჩამონათვალია და გაეცანით. მათ შედარებას რომ აკეთებთ, საერთოდ არ ვიცი, რამდენად ღირს ასეთ პოლემიკაში ჩართვა. წინა ხელისუფლების დროს გაუბედურებული ადამიანების მხრიდან ჩემს სახელზე უკვე 36.000 განცხადება შემოვიდა.

* * *

გარდა ამისა, ოპოზიციის პასუხად უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ პროექტი „პანორამა – თბილისი“ გამწვანების დიდ ნაწილს მოიცავს და დაგეგმილია 350 ხის მოჭრა, ხოლო 10 ათასი ხის დარგვა. მისივე თქმით, გზის მშენებლობის პროექტს „თბილისი პანორამასთან“ კავშირი არა აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

ეკონომიკა

# ინფლაციის ზრდა ჩვენს ჯიბეებს საგრძნობლად შეამსუბუქებს




საქართველოს ეროვნული ბანკი კვარტლის დასაწყისში ყოველთვის აქვეყნებს ინფლაციის მიმოხილვას, სადაც დეტალურად არის მოცემული პროგნოზი ინფლაციის მაჩვენებლების შესახებ.

აგვისტოს თვეში გამოქვეყნებული მიმოხილვის მიხედვით, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ქვეყანაში 5% უნდა ყოფილიყო, მაგრამ უკვე 3 თვეა, რაც წლიური ინფლაციის დონე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელს აჭარბებს. მაგალითად, ოქტომბერში ინფლაციის დონემ 5,8%-ს მიაღწია.

ეროვნული ბანკის შეფასებით, წლის ბოლოსთვის ინფლაციის დონე 6%-მდე გაიზრდება, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში ინფლაციის მაჩვენებელი 7%-ს გადააჭარბებს.

ეს იმ ფონზე, როდესაც სებ-ი პერმანენტულად ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას: 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კოეფიციენტი კიდევ ერთხელ, 0,5%-ით გაიზარდა და 7,5%-ს მიაღწია. ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთი ქვეყანაში კარგა ხანია არ ყოფილა.

* * *

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის ზრდა კიდევ უფრო გაართულებს საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას და ჩვენს ჯიბეებს საგრძნობლად შეამსუბუქებს.

ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ხეირობს სახელმწიფო და შედარებით მაღალშემოსავლიანი ჯგუფები.

– ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ მაღალია სოციალური დიფერენცირება და განსხვავებული შემოსავლის მქონე ადამიანებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ. დაბალშემოსავლიან ადამიანს სურს თავისი შემოსავლით სურსათი მაინც შეიძინოს, ხოლო მაღალშემოსავლიან ფენას აქვს საიმისო სახსრები, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს არა მხოლოდ სურსათზე, არამედ ფუფუნების საგნებზე, რომელთა ფასები კი არ იზრდება, არამედ მცირდება, – აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, მართალია, ფასები გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა ისე შესამჩნევი არ ყოფილა, როგორც ეროვნული ვალუტის დევალვაციის ტემპი. ამასაც აქვს თავისი მიზეზები.

– ლარის გაუფასურება რამდენჯერმე აღემატებოდა ინფლაციის ტემპს. ეს იმის გამო მოხდა, რომ ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტა უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე ქართული ლარი. მაგალითად, უკრაინიდან ზოგიერთი დასახელების საქონლის შემოტანა კი არ გაძვირდა, გაიაფდა, რადგან მათი გრივნა უფრო მეტად დაეცა აშშ-ის დოლართან შედარებით. იგივე მოხდა რუსეთშიც, – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

მისი თქმით, თუ საშუალო შეწონილ კურსს ავიღებთ, ლარი ჩვენი მეზობელი ქვეყნების ვალუტების მიმართ კი არ გაუფასურდა, არამედ გამყარდა კიდეც.

– საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 4%-იანი ინფლაციაა დაგეგმილი. მომდევნო წლებისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება და 3-3,5%-ზე შეიძლება ჩამოვიდეს. ამიტომ, მაინცდამაინც პესიმისტურად არ უნდა ვიყოთ განწყობილნი, – ამბობს სოსო არჩვაძე.

თავისუფალი ეკონომიკური სკოლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე კი ფიქრობს, რომ ინფლაციური პროცესების გააქტიურება მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის ბრალია:

– ეს იმის ბრალია, რომ მოხდა ჩვენი ლარის სერიოზული დევალვაცია, რაც გამოწვეული იყო არასწორი პოლიტიკით და ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომებით.

მისი აზრით, ქვეყანაში ადგილი აქვს ლარის ხელოვნურ გაუფასურებას,

– ადამიანებს არ აქვთ მყარი გარანტია იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ მათ შემოსავალს იგივე მსყიდველობითი უნარი ექნება. ხეირობენ მხოლოდ ისინი, ვისაც მუდმივად აქვს ინფორმაცია ვალუტის კურსის ცვლილებაზე. სწორედ ამიტომ, კომერციული ბანკების მოგება მიმდინარე წლის განმავლობაში ძალიან მაღალი იყო, მაშინ, როცა ბიზნესის და შედარებით მცირე საწარმოების მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა, – აღნიშნავს პაატა შეშელიძე.

თავისუფალი ეკონომიკური სკოლის დამფუძნებელი მიიჩნევს, რომ ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა მარტო დაბალშემოსავლიან ფენაზე კი არ იმოქმედებს, არამედ საშუალო ფენაზეც.

– საშუალო ფენას აქვს შემოსავალი, რომელსაც ის გამოიმუშავებს, მაგრამ ვალუტის გაუფასურებისა და ინფლაციის გამო მისი მსყიდველობითი უნარი მცირდება. მე ისიც არ მესმის, რატომ უნდა დაიგეგმოს წინასწარ ინფლაციის და ფასების დონე, თანაც, მთავრობის ეკონომიკური გუნდის პროგნოზი ხშირად არ ემთხვევა ეროვნული ბანკის პროგნოზს.

ამ განსხვავების მიზეზი მათი განსხვავებული ხედვაა, საბოლოოდ კი, დაზარალებულის როლში ისევ საქართველოს მოსახლეობა გვევლინება, – ამბობს პაატა შეშელიძე.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ობამა: „თურქეთი სუვერენული სახელმწიფოა და თავდაცვის უფლება აქვს“



აშშ-ში საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი ჩავიდა. ოვალურ კაბინეტში ის პრეზიდენტმა ობამამ მიიღო.

შეხვედრის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია.

— როგორ აფასებთ თურქების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას?

ამ კითხვას ობამამ ასე უპასუხა:

— თურქეთი სუვერენული სახელმწიფოა და თავდაცვის უფლება აქვს.

ამავე დროს, აშშ-ს პრეზიდენტმა როგორც მოსკოვს, ისე ანკარას მოუწოდა, ესკალაციისგან თავი შეიკავონ. შეკითხვაზე, მზად ხართ თუ არა ტერორიზმის წინააღმდეგ რუსებთან ითანამშრომლოთ, ობამამ უპასუხა:

— თუკი რუსეთის მთავარი ძალისხმევა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება მიმართული, მასთან ვითანამშრომლებთ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით რუსეთი უფრო ანტიასადურ ოპოზიციასთან ბრძოლითაა დაკავებული.

საფრანგეთის პრეზიდენტმა თურქეთში მომხდარი ინციდენტის გამო სინანული გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ თურქეთს სრული უფლება გააჩნია, საზღვრები დაიცვას. ამავე დროს, ოლანდმა კვლავ გამოთქვა მზადყოფნა, რუსებთან ერთად საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიციაში გაერთიანდეს.

— თუკი რუსეთი არა ანტიასადურ ძალებთან, არამედ ტერორისტებთან ბრძოლას დაიწყებს, მასთან კოალიციაში გავერთიანდებით, — თქვა ოლანდმა.

# მედვედევი: „რუსულ-თურქული ენერგეტიკული პროექტები შესაძლოა არ განხორციელდეს“



რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ რუსულ-თურქული ენერგეტიკული პროექტები, შესაძლოა, აღარ განხორციელდეს.

მიზეზი თურქების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებაა.

— ამისი გამართლება არაფრით არ შეიძლება! — ამბობს მედვედევი.

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ თურქ ბიზნესმენებს რუსეთის ბაზარზე პრობლემები შეექმნებათ, ჩაიშლება რუსეთ-თურქეთის სავაჭრო ხელშეკრულებები.

— თურქეთი ცალსახად გამოიკვეთა, როგორც მტრული სახელმწიფო, — თქვა მედვედევმა.

თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარას მოსკოვთან კონფრონტაცია არ სურს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთი თავის ეროვნულ ინტერესებს არ დაიცავს.

— ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა შესაშური თავდაჭერა და პროფესიონალიზმი გამოავლინეს. მომავალშიც ასე იქნება, — თქვა თურქეთის პრეზიდენტმა.

# ნატომ თურქეთს მხარი დაუჭირა



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თურქეთს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ რუსეთი თურქეთის საჰაერო სივრცეს სისტემატურად არღვევდა. ამას გარდა, რუსეთი სამხედრო ოპერაციებს თურქეთ-სირიის საზღვრის სიახლოვეს ატარებს. ბუნებრივია, ოფიციალური ანკარა ამას მშვიდად ვერ შეხვდება.

— იმ რაიონში, სადაც რუსული ავიაცია გააქტიურდა, ტერორისტები არ არიან. იქაურობას ასადის ზომიერი ოპოზიცია აკონტროლებს, — თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ თურქეთს ყოველმხრივ მხარი დაუჭიროს. ამავე დროს, მან, როგორც მოსკოვს, ისე ანკარას, მოუწოდა, არ დაუშვან შემდგომი ესკალაცია.

— იმედი მაქვს, ასეც მოხდება, — თქვა სტოლტენბერგმა.

# რუსეთი სირიაში თავის ბაზას აძლიერებს

რუსეთი სირიაში თავის ბაზას აძლიერებს. მოსკოვმა სირიაში განთავსებულ ბაზაზე ეს-400 სისტემის სარაკეტო დანადგარები გადაისროლა.

ამავე დროს, კრეისერი „მოსკოვი“, რომელსაც საჰაერო თავდაცვის სისტემა გააჩნია, ლატაკიის მიმდებარე რაიონს დაიკავებს.

— ჩვენ სირიაში არაფერს დავთმობთ, — ამბობს რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ.

# ჯონ ქერი იერუსალიმში ჩავიდა



გრძელდება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის ტურნე ახლო აღმოსავლეთში.

გაერთიანებული არაბული საემიროებიდან ქერი იერუსალიმს გაემგზავრა. აქ ის ისრაელის პრემიერ ნეტანიაჰუს, აგრეთვე პალესტინელთა ავტონომიის ლიდერ აბასს შეხვდა.

საუბარი ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო.

ქერიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოლაპარაკებების ძირითადი თემა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება იყო.

მან ხაზი გაუსვა, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მშვიდობიან ატმოსფეროში იცხოვროს.

— საამისოდ აუცილებელია ტერორიზმის მოსპობა. ჩვენ საამისოდ კონკრეტული გზები დავსახეთ, — ამბობს ქერი.

# გაზპრომმა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა




გაზპრომმა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა. ამის თაობაზე ჰოლდინგის თავკაცმა მილერმა განაცხადა.

— თანახმად უკრაინასთან დადებული ხელშეკრულებისა, მათ ფული წინასწარ უნდა გადაეხადათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, — თქვა მილერმა.

უკრაინის პრემიერმა იაცენიუკმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ რუსული გაზის შეწყვეტა უკრაინას ვერაფერს დააკლებს.

— ჩვენ მოსამზადებელი სამუშაოები ჩავატარეთ და რუსულ გაზზე დამოკიდებულნი აღარ ვართ, — თქვა იაცენიუკმა.



# პარიზის ტერაქტი: გაჩნდნენ ახალი ეჭვმიტანილები

პროკურორ ფრანსუა მოლინას ცნობით, პარიზის ტერაქტის საქმეში ახალი ეჭვმიტანილები გაჩნდნენ.

უწინარეს ყოვლისა, ეს ჯავად ბენდაუდია, რომელმაც ტერორისტებს სენ დენიში სახლი მიაქირავა.

— სავარაუდოდ, ისიც ტერორისტული ორგანიზაციის წევრია, — განაცხადა პროკურორმა.

მეორე ეჭვმიტანილია აბრინი. ტერაქტის დღეს ის აბდუსალამ სალაჰთან ერთად მანქანაში ნახეს.

აბრინიც ბრიუსელის მცხოვრებია. ბელგიის პროკურატურამ მის დასაკავებლად ორდერი გასცა, თუმცა დაკავება ვერ ხერხდება, რადგან აბრინი მიმალვაშია.

ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სატელევიზიო გამოსვლაში მოქალაქეებს მოუწოდა, იყვნენ ფრთხილად, რადგან აბრინი შეიარაღებულია.

# ამერიკაში ყოფილი საბჭოთა აგენტი გაათავისუფლეს

პრეზიდენტმა ობამამ შეიწყალა საბჭოთა აგენტი პელტონი, რომელიც 1985 წელს ამხილეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ობამას შეწყალების შედეგად პელტონი ციხიდან გამოუშვეს.

პელტონი ეროვნული უსაფრთხოების ასამბლეის ანალიტიკური სამმართველოს თანამშრომელი იყო და საბჭოთა კავშირს საიდუმლო ცნობებით ამარაგებდა.

1985 წელს ამერიკაში ჯაშუშების წელს უწოდებენ. მაშინ არაერთი საბჭოთა მსტოვარი იქნა მხილებული. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯონ უოკერი და მისი ოჯახი, რომლებიც საბჭოთა დაზვერვაზე მუშაობდნენ.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

## მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# ევროპის ლიგაზე გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრია

## დღეს გაიმართება ევროპის ლიგის მორიგი ტურის მატჩები




### ა ჯგუფი

**სელტიკი-აიაქსი 2.45 3.3 2.9**

ჯგუფის ყველაზე სახელიანი და ფავორიტად მიჩნეული კლუბები აუტსაიდერები არიან. პირველ წრეში ერთმანეთში 2:2 ითამაშეს. საერთოდ კი, კარგად ნაცნობები არიან – მათი ურთიერთშეხვედრები სათავეს 1971 წლიდან იღებს. მცირე უპირატესობა სელტიკის მხარეს არის – 4 მოგება, 2 ფრე და 3 მარცხი. აიაქსის ერთ-ერთ წაგებულ მატჩში გოლი შოთა არველაძეს აქვს გატანილი.

ტრავმირებულები არც ერთ გუნდს არ ჰყავს, სელტიკი კი დისკვალიფიკაციის გამო ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს – პირველ მატჩში გოლის ავტორ ნიტ ბიტონსა და სტეფან იოჰანსენს.

**მიოლდე-ფენერბახჩე 3.4 3.4 2.0**

ყველასთვის მოულოდნელად, ამ რთული ჯგუფიდან მიოლდე ორი ტურით ადრე გავიდა პლეი ოფში და ახლა საერთოდ არ ანაღვლებს დარჩენილი მატჩები.

პირველი მატჩი თურქეთში ნორვეგიელებმა 3:1 მოუგეს მეტოქეს, მანამდე კი ერთმანეთს არ შეხვედრიან.

დისკვალიფიცირებული არც ერთ გუნდს არ ჰყავს, ტრავმის გამო კი ფენერბახჩე განერ ერკინს მოისაკლისებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მიოლდე | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| 2.ფენერბახჩე | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 3.აიაქსი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| 4.სელტიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |

### ბ ჯგუფი

**რუბინი-სიონი 2.15 3.3 3.4**

ევროპის ლიგაზე მოთამაშე ერთადერთი ქართველი ფეხბურთელის, სოლომონ კვერკველიას რუბინს ბოლო შანსი აქვს პლეი ოფში გასასვლელად იბრძოლოს. საამისოდ მხოლოდ მოგება ესაჭიროება.

რუბინმა პირველი მატჩი სტუმრად 1:2 წააგო. სხვა დროს ერთმანეთს არ შეხვედრიან.

სიონი სრული შემადგენლობით ჩავიდა ყაზანში, მასპინძლებს იგორ პორტიაგინი დააკლდებათ, ხოლო გეკდენიზ კარადენიზის თამაში საეჭვოა.

**ლივერპული-ბორდო 1.53 3.8 7.0**

პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა 1:1 დასრულდა. ეს იყო პირველი ფრე ლივერპულსა და ბორდოს შორის. 2006 წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მერსისაიდელებმა ორივე მატჩი მოუგეს ჟირონდელებს.

დღეს ლივერპული სერიოზული დანაკლისით ხვდება მატჩს: კოუტინიოს, ჯო გომესს, დანი ინგსს, ჯორდან როსიტერსა და მამადუ სახოს ტრავმები აწუხებთ.

ჟირონდელებს დისკვალიფიცირებული ვაჰბი ხაზრი და ტრავმირებული გრეგუარ სერტიჩი დააკლდებათ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| 2.ლივერპული | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| 3.ბორდო | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| 4.რუბინი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |

### ც ჯგუფი

**კრასნოდარი-დორტმუნდი 4.5 3.75 1.75**

კრასნოდარელებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს სახელოვან მეტოქეს სტუმრად. 1:0 იგებდნენ კიდეც, მაგრამ ჯერ პირველი ტაიმის წარმატებულ წუთზე გაუშვეს გოლი, შემდეგ – მეორე ტაიმის კომპენსირებულ დროში.

მასპინძლები უდანაკარგოდ ხვდებიან მატჩს, ხოლო დორტმუნდი რუსეთს ტრავმირებული ნური შაჰინის გარეშე ეწვია.

**პაოკი-გაბალა 1.33 4.5 8.5**

გაბალელებმა ერთადერთი ქულა სწორედ პაოკთან საშინაო მატჩში აიღეს. თუმცა, ბერძნულ კლუბებთან კარგად გამოსდით თამაში – ჯგუფში მოსახვედრად ორი მატჩის ჯამში პანათინაიკოსი გააგდეს.

მასპინძლებს ტრავმის გამო დოდო და რაფაელი დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს – ხარის ხარისისი, მარინ ლეოვაცი და რიკარდო კოსტა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| 2.კრასნოდარი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 3.პაოკი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| 4.გაბალა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |

### დ ჯგუფი

**ლეგია-მიდტიულანდი 2.05 3.25 3.4**

ლეგიას პლეი ოფში გასასვლელად მინიმალური შანსი აქვს და მის გამოყენებას ეცდება. პირველი მატჩი დანიელებმა შინ 1:0 მოიგეს, რაც მოულოდნელობად მიიჩნიეს.

რამდენად მოახერხებენ კიდევ ერთ სენსაციას დანიელები, დღეს გამოჩნდება. ერთია, მიდტიულანდი შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა პოლონეთში – იოან დალინსა და კრისტიან ბეკს ტრავმები აწუხებთ.

**ბრიუგე-ნაპოლი 3.1 3.3 2.3**

ნაპოლი პლეი ოფშია, ბრიუგეს კი წინ დიდი ბრძოლები ელის. პირველ მატჩში ნეაპოლიტანებმა 5:0 გაანადგურეს მეტოქე.

მატჩს ორივე გუნდი დანაკლისით ხვდება: ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ლოურენ დე ბოკი (ბრიუგე), მანოლო გაბიადინი და დრის მერტენსი (ორივე ნაპოლი).

გაბიადინისა და მერტენსს ერთად 7 გოლი აქვთ გატანილი მიმდინარე ევროპის ლიგაზე.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 4 | 4 | 0 | 0 | 16:1 | 12 |
| 2.მიდტიულანდი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:10 | 6 |
| 3.ბრიუგე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:9 | 4 |
| 4.ლეგია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

### ე ჯგუფი

**დინამო(მნ)-პლზენი 4.5 3.4 1.83**

მინსკელები უქულოდ ხვდებიან მატჩს, ხოლო პლზენს 3 ქულა სწორედ დინამოსთან საშინაო მატჩში აქვს აღებული. ორივე ჯგუფის აუტსაიდერია და ადგილების გადანაწილებას ერთმანეთში ეცდებიან.

მასპინძლებს იაროსლავ იაროცკი დააკლდებათ, ხოლო სტუმრები ვაცლავ პილარსა და ონდრეი ვანეკს მოისაკლისებენ.

**ვილიარეალი-რაპიდი 1.6 4.0 5.5**

რაპიდი უკვე პლეი ოფშია, ვილიარეალს კი საამისოდ ქულაც ჰყოფნის. პირველი მატჩი რაპიდმა 2:2 მოიგო. ვილეარეალის გოლი ლეო ბაპტისტამ გაიტანა, რომელიც ტრავმის გამო დღეს ვერ ითამაშებს.

მის გარდა, სტუმრებს ადრიანი და სერხიო ასენხოც დააკლდებათ. მასპინძლებს კი ფილიპ ჰუსპეკი არ ეყოლებათ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რაპიდი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:4 | 12 |
| 2.ვილიარეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| 3.პლზენი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| 4.დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |

### ფ ჯგუფი

**მარსელი-გრონინგენი 1.25 5.0 11.0**

მარსელი ჯგუფის ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ საქმე თავად გაირთულა. და მაინც, დღეს ფავორიტები ფრანგები არიან. მარსელმა პირველი მატჩი სტუმრად 3:0 მოიგო.

ორივე გუნდი ტრავმირებული ფეხბურთელების გარეშე ხვდება მატჩს, მხოლოდ ჰოლანდიელები მოისაკლისებენ დისკვალიფიცირებულ მიქაელ დე ლეუვენს.

**ბრაგა-ლიბერეცი 1.6 3.75 6.0**

ჯგუფს მოულოდნელად ბრაგა ლიდერობს, ხოლო ლიბერეცი დაბრიყვებული ჰყავს. პირველი მატჩი სტუმრად 1:0 მოუგო, ხოლო 2006 წელს სულაც 4:0 გაანადგურა.

საეჭვოა რამდენიმე ფეხბურთელის თამაში ორივე გუნდიდან, თუმცა სერიოზული ტრავმები არც ერთ არ აწუხებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბრაგა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| 2.ლიბერეცი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 3.მარსელი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 4.გრონინგენი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |

### გ ჯგუფი

**ლაციო-დნიპრო 1.8 3.3 5.0**

ლაციოს ქულაც ჰყოფნის პლეი ოფში გასასვლელად, ხოლო დნეპროპეტროვსკელებს აუცილებლად სჭირდებათ მოგება. პირველ მატჩში უკრაინელებმა ქულა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გადაარჩინეს.

დისკვალიფიკაციის გამო მასპინძლებს სეიდუ კეიტა დააკლდებათ, სტუმრებს – რუსლან როტანი. ტრავმები აწუხებთ ლაციოს ფეხბურთელებს – სტეფან დე ვრეისა და სტეფანო მაურის.

**რუსენბორგი-სტ.ეტიენი 3.0 3.1 2.45**

რუსენბორგისთვის ამ მატჩს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მაქსიმუმ კარი გაიჯახუნონ და საქმე გაუკეთონ დნიპროს. პირველი მატჩი 2:2 დასრულდა. ისე, ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს – 2008 წელს სენტ ეტიენმა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე შინ 3:0 მოუგო ნორვეგიელებს.

დანაკლისი სტუმრებს ბევრი აქვთ. ტრავმები აწუხებთ რობერტ პერიჩს, ფაბიენ ლემოს, ფლორენტინ პოგბას, მუსტაფა სალის, კევინ ტეოფილეს. კიდევ 5 ფეხბურთელის თამაში სათუოა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაციო | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| 2.სტ.ეტიენი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| 3.დნიპრო | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 4.რუსენბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

### ჰ ჯგუფი

**ბეშიქთაში-შკენდერბიუ 1.12 8.0 21.0**

მშვენიერი შანსი აქვს ბეშიქთაშს, რომ პლეი ოფში გავიდეს. საამისოდ, აუცილებლად უნდა დაამარცხოს შკენდერბიუ. ეს რთულად გასაკეთებელი არ ჩანს, მით უფრო, რომ სტუმრად უკვე აქვს მოგებული. პლუს, არც დანაკლისი აქვს – ერთადერთი რიკარდო კვარეჟმას თამაში დგას კითხვის ნიშნის ქვეშ.

**ლოკომოტივი-სპორტინგი 2.6 3.2 2.75**

რუსებს ფრეც ჰყოფნით, რომ პლეი ოფის საგზური დაიბევონ. ერთია, პორტუგალიურ გუნდებთან ჯერ ფრე არ უთამაშიათ. პირველი მატჩი სტუმრად ლოკომოტივმა 3:1 მოიგო, მანამდე ორი მატჩი ბრაგას (1998) მოუგო, ხოლო ორჯერ ბენფიკასთან (1996) დამარცხდა.

მასპინძლები დისკვალიფიკაციის გამო ვერდან ჩორლუკას მოისაკლისებენ, ამავე მიზეზით მატჩს სპორტინგის მეკარე რუი პატრისიუ გამოტოვებს.

ტრავმები აწუხებთ ნემანია პეიჩინოვიჩს (ლოკომოტივი), ბრუნო პაულისტას, კარლოს მანეს, გუტიერესს, ჯეფერსონსა და ვილიამ კარვალიუს (ყველა სპორტინგი).

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| 2.ბეშიქთაში | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| 3.სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| 4.შკენდერბიუ | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |

### ი ჯგუფი

**ბელენენსეში-ლეხი 2.5 3.2 2.9**

ორივე გუნდს აქვს პლეი ოფში გასვლის შანსი. მართალია, მცირე, მაგრამ ყველაფერია შესაძლებელი. ერთია, ეს მატჩი ისე არ უნდა დასრულდეს, როგორც პირველ წრეში – ფრედ.

პორტუგალიელები სრული შემადგენლობით დაუხვდებიან პოლონელებს, რომლებმაც ტრავმების გამო დავიდ კოვლაცკი და მარცინ რობაკი ვერ იახლეს.

**ბაზელი-ფიორენტინა 2.62 3.2 2.7**

ბაზელმა პირველი მატჩი სტუმრად 2:1 მოუგო იტალიელებს და იგივეს გაკეთებას საკუთარ სტადიონზეც შეეცდება. წაგება კი იების გეგმებში არ წერია, რადგან დიდი შანსია, საქმე გაირთულონ.

ფიორენტინა დისკვალიფიცირებულ ანტე რებიჩთან ერთად ტრავმირებულ იაკუბ ბლაჩიკოვსკისაც მოისაკლისებს, ხოლო ამავე მიზეზით ბაზელს მანუელ აკანჯი, დანიელ ჰოეგი და ფილიპ დეგენი დააკლდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაზელი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| 2.ფიორენტინა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:4 | 6 |
| 3.ლეხი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 4.ბელენენსეში | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |

### ჯ ჯგუფი

**ყარაბახი-ტოტენჰემი 3.8 3.4 2.0**

ყარაბახი იბრძვის, მაგრამ შანსები მცირე აქვს. ამ მატჩშიც ფავორიტი ტოტენჰემია, რომელმაც შინ 3:1 მოუგო აზერბაიჯანელებს.

მატჩს ორივე გუნდი დანაკლისით ხვდება: ყარაბახს სამუელ არმენტეროსი, ალარბი ელ ჯადეიაოუ და რეინალდო არ ეყოლება, ხოლო ტოტენჰემს – ნაბილ ბენტალები, ნასერ ჩადლი, ერიკ ლამელა და ალექს პრიჩარდი.

**მონაკო-ანდერლეხტი 1.91 3.3 4.33**

საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი სათავადოშიც. მასპინძლის სტატუსი მონაკოს უპირატესობას ანიჭებს. პირველ წრეში ეს სტატუსი ანდერლეხტმა ვერ გამოიყენა და მატჩი 1:1 დასრულდა.

ორივე გუნდს ჰყავს ტრავმირებული ფეხბურთელები.

მონაკოელები ნაბილ დილარს, ერიკ კავალიეროს, ტომას ლემარსა და ადამა ტრაორეს მოისაკლისებენ, ხოლო ბელგიელებს ივან ობრადოვიჩი დააკლდებათ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| 2.მონაკო | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| 3.ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 4.ყარაბახი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |

### კ ჯგუფი

**სპარტა-ასტერასი 1.25 6.0 11.0**

ორივე გუნდს შერჩა შანსი, პლეი ოფში მოხვდეს. პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, დღეს ფავორიტი სპარტაა. თუმცა, მატჩს დანაკლისით ხვდება.

დისკვალიფიცირებულნი არიან პეტრ იირაჩეკი და მარეკ მატეიოვსკი. ბერძნებთაგან ტრავმები აწუხებთ დორინ გოიანს და ტომაშ კოსიცკის.

**შალკე-აპოელი 1.25 6.0 11.0**

შალკე ჯგუფის ფავორიტია და გასაკვირი არ არის, იგივე სტატუსი კვიპროსელებთან საშინაო მატჩშიც რომ ჰქონდეს. თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ აპოელს მხოლოდ მოგება სჭირდება, ეს კი ურთულესი საქმე იქნება.

ორივე გუნდი დანაკლისის გარეშე ხვდება მატჩს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შალკე | 4 | 2 | 2 | 0 | 10:3 | 8 |
| 2.სპარტა | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| 3.ასტერასი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| 4.აპოელი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |

### ლ ჯგუფი

**აუგსბურგი-ბილბაო 2.7 3.2 2.6**

ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი მატჩია. დიდი შანსია, წაგებული პელი ოფს მიღმა დარჩეს. ამიტომაც საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი. პირველ წრეში ბილბაომ იოლად, 3:1 მოიგო. ვნახოთ, რა იქნება დღეს.

აუგსბურგი ჰონგ იონგ-ჰოს და ტობიას ვერნერს მოისაკლისებს, ბილბაო – იბაი გომესს.

**ალკმაარი-პარტიზანი 1.95 3.5 3.8**

ალკმაარელებსაც შერჩათ მცირე შანსი პლეი ოფში გასასვლელად, მაგრამ მარტო თავიანთ თავზე არ არიან დამოკიდებულნი. პირველ წრეში ბელგრადში ჯახი იყო და მასპინძლებმა 3:2 მოიგეს.

დღეს ალკმაარს ფერნანდო ლუისი დააკლდება, ხოლო პარტიზანს – გრეგორ ბალაზიჩი და მილოშ ოსტოიჩი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 9 |
| 2.აუგსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| 3.პარტიზანი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 6 |
| 4.ალკმაარი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**24 ნოემბერი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბატე-ლევერკუზენი ........................ 1:1
ბარსელონა-რომა ........................ 6:1
არსენალი-დინამო (ზ) ........................ 3:0
ბაიერნი-ოლიმპიაკოსი ........................ 4:0
პორტუ-დინამო (კ) ........................ 0:2
მაკაბი-ჩელსი ........................ 0:4
ზენიტი-ვალენსია ........................ 2:0
ლიონი-გენტი ........................ 1:2

**კალათბურთი**

**25 ნოემბერი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ინდიანა ............. 106:123
ატლანტა-ბოსტონი ............. 121:97
მემფისი-დალასი ............. 110:96
*ზაზა ფაჩულია: 13 ქულა, 10 მოხსნა*
დენვერი-ლოს ანჯელესი ............. 94:111
პორტლენდი-ჩიკაგო ............. 88:93
გოლდენ სტეიტი-კლიპერსი .... 111:77

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ლომთაძემ საქართველოს ნაკრებს ორი ქულა შემატა




ჰიუსტონში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა პირველი სალიცენზიო ქულები მოიპოვა. ეროვნულ გუნდს საერთო ჩათვლაში 2 ქულა გიორგი ლომთაძემ (77 კგ) მოუტანა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 331 (149+182) კილოგრამი დააგროვა და საერთო ჩათვლაში 24-ე ადგილი დაიკავა.

ეს კარგი შედეგი არ არის, მაგრამ სალიცენზიო ქულებისთვის ყველა შედეგს მნიშვნელობა აქვს. გეგმის მიხედვით, ნაკრებმა 55 ქულამდე უნდა აიღოს, რათა 3 ლიცენზიას შეწვდეს. ასე რომ, მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის.

ეს იმედი კი მძიმე წონაა, სადაც ევროპის მოქმედი ჩემპიონი ირაკლი თურმანიძე და ლაშა ტალახაძე გამოვლენ. ტალახაძემ ლიცენზიასთან ერთად მედლისთვისაც უნდა იბრძოლოს.

მსოფლიოს პირველობაზე დებიუტი ჰქონდა თათია ლორთქიფანიძეს (63 კგ), რომელმაც ჯამური 164 (79+95) კილოგრამი დააგროვა. საერთო ჩათვლაში რომელ ადგილზე გავა ლორთქიფანიძე, ამას ძირითადი ჯგუფის გამოსვლის შემდეგ შევიტყობთ.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# შოტლანდიაში პოლიციელები შეცდომით უსინათლოს ბინაში შეიჭრნენ



შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში პოლიციის ოფიცრები შეცდომით უსინათლო მამაკაცის ჯონათან მილერის ბინაში შეიჭრნენ. დაზარალებულმა ოფიცრებს პოლიციის განყოფილებაში უჩივლა, რაც იმით ახსნა, რომ მათმა მოქმედებამ მის ჯანმრთელობას ზიანი მიაყენა და მისი ძაღლის სულიერი ტრავმირების მიზეზი გახდა.

— პოლიციელებმა შემოსასვლელი კარი შემოამტვრიეს და სახლში შეიჭრნენ, როდესაც მე სამსახურში წავედი. ისინი მიხვდნენ, რომ შეცდნენ, როდესაც სახლში ჩემ სახელზე მოსული წერილები ნახეს. საბოლოოდ ისინი თავიანთ შეცდომაში მაშინ დარწმუნდნენ, როდესაც უძრავი ქონების გაყიდვების აგენტს დაუკავშირდნენ, რომლის ტელეფონიც მის სახლთან განთავსებულ ფირნიშზე ეწერა, — განაცხადა 24 წლის მილერმა.

მამაკაცმა, რომელიც დაბადებიდან უსინათლოა, განაცხადა, რომ ის ახალ ბინაში ოთხი კვირის წინ გადავიდა. პოლიციის ოფიცრებმა არ შეამოწმეს საცხოვრებელის მფლობელზე განახლებული ინფორმაცია და იფიქრეს, რომ სახლში ჯერ ისევ ეჭვმიტანილის ქალიშვილი ცხოვრობდა, რომელსაც სამართალდამცავები ეძებენ.

პოლიციელებმა სახლის კარი სპეციალური მოწყობილობით შეამტვრიეს. მილერის თქმით, სამართალდამცავების შეჭრამ მისი ძაღლი შეაშინა და მეგობრული და მშვიდობიანი ხასიათი აგრესიული ხასიათით შეეცვალა. თავად ახალგაზრდამ კი თვალების ტკივილებით ექიმს მიმართა და ეს მომხდარის შემდგომი სტრესული მდგომარეობით ახსნა. მას პოლიციის ოპერაციის შედეგად დაზიანებული კარის, ავეჯისა და ნივთების შეცვლა 760 დოლარი დაუჯდება.

შოტლანდიის პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, ამ საქმეზე სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარდება.

# ზოოპარკიდან გაქცეული წითელი პანდა იპოვეს



კალიფორნიაში იპოვეს წითელი პანდა, სახელად მასალა, რომელიც ზოოპარკიდან გასული კვირის ხუთშაბათს გაიქცა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხოველი ჯანმრთელი და უვნებელი დაუბრუნდა ქალაქ იურიკის ზოოპარკს.

მასალას გაუჩინარების შემდეგ ზოოპარკის თანამშრომლებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ფართომასშტაბიანი სამძებრო სამუშაოები დაიწყეს. წითელი პანდა ადამიანებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ სამძებრო ოპერაციის მონაწილეებს უიშვიათესი სახეობის ცხოველის უსაფრთხოება აფიქრებდათ.

გაქცეული ცხოველი ზოოპარკიდან ნახევარი მილის (დაახლოებით 800 მეტრი) დაშორებით აღმოაჩინეს. წითელი პანდა ადგილობრივმა მცხოვრებმა საკუთარი სახლის მახლობლად შენიშნა. ქალმა მასალა ხილის ხეზე შეიტყუა, რათა არ გაქცეულიყო. ადგილზე მისულმა ზოოპარკის თანამშრომლებმა მოახერხეს ცხოველი ხიდან ჩამოსვლაზე „დაეყოლიებინათ“. ამჟამად წითელი პანდა ზოოპარკში კარანტინში იმყოფება.

# ჯორჯ კლუნის მეუღლეს ძვირფასი ბეჭდის ტარება არ სურს





ჰოლივუდის მსახიობის ჯორჯ კლუნის მეუღლე სამსახურში 450 ათას ფუნტიანი საქორწინო ბეჭდით აღარ ივლის. ამალ კლუნი ასეთ ძვირფას ნივთს მეტისმეტად „მდიდრულად“ მიიჩნევს ადამიანების უფლებების დაცვის სფეროში მისი მოღვაწეობისთვის.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, ამჟამად 37 წლის ადვოკატი თავისთვის პლატინის ბეჭედს ეძებს, რომლითაც საქორწინო ბეჭედს შეცვლის და რომლითაც სასამართლოებში „სერიოზულ საქმეებზე“ ივლის.

— მას ბეჭედი ძალიან მოსწონს და მის თავიდან მოშორებას სულაც არ აპირებს, მას უბრალოდ უნდა, რომ სამუშაო საათებში თითზე რაიმე, უფრო უბრალო ბეჭედი ეკეთოს, — განაცხადა წყვილთან დაახლოებულმა პირმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯორჯ კლუნის მეუღლე მალდივის ექსპრეზიდენტის ადვოკატი გახდა.

**მოამზადა**
**კახა ხატიაშვილმა**

# ამერიკელმა ლატარიაში მეორედ მოიგო მილიონი დოლარი

ამერიკელმა ქალმა კონსტანს კარპენიტომ მომენტალურ ლატარიაში მეორედ მოიგო მილიონი დოლარი. პირველად ასეთ




წარმატებას მან 1996 წელს მიაღწია.

ორივე შემთხვევაში ქალბატონმა, რომელიც ქალაქ სტოუნჯემში ცხოვრობს, იღბლიანი ბილეთები ერთსა და იმავე სუპერმარკეტში შეიძინა.

გარდა ამისა, კარპენტინომ ერთხელ ამავე მაღაზიაში იყიდა ბილეთი, რომელმაც მას 20 ათასი დოლარი მოაგებინა. იღბლიანი ქალბატონის თქმით, ის ლატარიას ყოველ კვირას თამაშობს. მისივე თქმით, ამ ბოლო მოგებას ის თავისი ოჯახისთვის განსაკუთრებული შობის დღესასწაულის მოსაწყობად გამოიყენებს.

# კუბიკ რუბიკის აწყობის ახალი რეკორდი დამყარდა



აშშ-ში ახალი რეკორდი დამყარდა კუბიკ რუბიკის სწრაფ აწყობაში. 14 წლის ლუკას ეტერმა მერილენდის შტატის ქალაქ კლარკსვილში ჩატარებულ შეჯიბრზე, თავსატეხის აწყობას, სულ რაღაც 4,9 წამი მოანდომა, რაც 0,3 წამით ნაკლებია ადრინდელ რეკორდზე.

აღნიშნული რეკორდი კუბიკ რუბიკის მსოფლიო ასოციაციამ დაადასტურა.

*სპორტი*

# გიორგი არაბიძემ რეალის წინააღმდეგ ითამაშა



გიორგი არაბიძემ შახტარის 19 წლამდე გუნდის შემადგენლობაში სასარგებლო გამოცდილება მიიღო. მისი გუნდი იმავე ასაკის მადრიდის რეალის ფეხბურთელებს დაუპირისპირდა და არაბიძემ მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

ქართველმა ფეხბურთელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და საგოლე გადაცემის გაკეთებაც მოახერხა, თუმცა ამან მისი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა და საბოლოოდ რეალმა მეტოქე გაანადგურა ანგარიშით 6:2.

არაბიძე ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და უდავოა, რომ ასეთი თამაშები მას უფრო მეტ გამოცდილებას მისცემს.

# ბრენდან როჯერსი შესაძლოა ყატარში ვიხილოთ



ლივერპულის ყოფილი თავკაცი ბრენდან როჯერსი ამჟამად ფეხბურთისგან ისვენებს და ჯერჯერობით არ აპირებს დაუბრუნდეს თავის საქმიანობას.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის წინ როჯერსი ყატარში გაემგზავრა, სადაც როგორც ვარაუდობენ, მისი სამსახურით ადგილობრივი გუნდი ალ სადია დაინტერესებული.

ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ როჯერს ყატარში სოლიდური ანაზღაურება ექნება.

თვითონ ინგლისელ სპეციალისტს ამ ყველაფერზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, სავარაუდოდ, როჯერსი სამუშაოს გარეშე დიდხანს არ დარჩება.

**ბ.გ.**

# ფაჩულია ორმაგი დუბლებით ნბა-ს სამეულშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საჯარიმო ჩააგდო. 13 ქულას ტეხასელთა ქართველმა ცენტრმა 10 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა.

ორმაგი დუბლი მიითვალა დირკ ნოვიცკიმაც, რომელმაც 14 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. მატჩის მესამე ორმაგი დუბლი მემფისელთა ესპანელმა ცენტრმა მარკ გასოლმა გაიფორმა 15 ქულითა და 10 მოხსნით.

დალას მავერიკსს, რომელსაც 9 მოგება და 6 მარცხი აქვს, ოკლაჰომა წამოეწია და დასავლეთ კონფერენციაში ეს გუნდები მე-3-4 ადგილებს იყოფენ.

მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს 26 ნოემბერს, სან ანტონიოში სფურსთან ელის.

იაპონიის ჩემპიონატში გუნდები ერთმანეთს 2 დღეში თითო მატჩს ეთამაშებიან. ნიკა ცქიტიშვილის ტოჩიგი ბრექსმა მეორედაც ითამაშა აიშან სი ჰორსთან და კვლავ დაამარცხა. თუკი პირველ შეხვედრაში ცქიტიშვილის გუნდმა 5 ქულით იმარჯვა, მეორე მატჩი უფრო დამაჯერებლად – 82:68 მოიგო.

ცქიტიშვილისთვის ეს იყო სეზონის საუკეთესო მატჩი. ის სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 21 წუთში კი 15 ქულა, 1 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ნიკოლოზმა 7-დან 5 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა.

ტოჩიგი ბრექსი 10 მოგებით და 2 წაგებით პირველ-მეორე ადგილებს ტოკიოს ტოიოტა ალვარკთან ერთად იყოფს. ქართველი ფორვარდის კლუბი მორიგ მატჩებს 28-29 ნოემბერს ჰიროშიმას დრაგონფლაისთან გამართავს.

**მ. ჟ.**

# ასტროპროგნოზი

## 26 ნოემბრისათვის



**ვერძი** — დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კურო** — ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ტყუპები** — თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** — ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **ლომი** — ზედმეტი თავდაჯერებულობა და, პირიქით, გაუბედაობა — ორივე დაგაზარალებთ. ზომიერების დაცვა დღის დევიზია. **ქალწული** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **სასწორი** — კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **ღრიანკალი** — წინააღმდეგობრივი დღეა. დილით შეხვდებით ადამიანებს, რომლებზეც თქვენი წარმატება და კეთილდღეობაა დამოკიდებული. ნებისმიერ სიტუაციაში სერიოზულობა და საქმისადმი პასუხისმგებლობა გმართებთ. **მშვილდოსანი** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი დღეა. ჩანაფიქრი გისრულდებათ. თავს ნუ გადაიღლით. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **მერწყული** — თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია. **თევზები** — უფროსი ასაკის ნათესავებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ემოციები აკონტროლეთ და თავს ზედმეტის უფლებას ნუ მისცემთ. ახლობლების რჩევები გაითვალისწინეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგი ბარონი, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ფუძემდებელი; 2. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 3. პოპულარული ირლანდიური ლუდი; 4. ძვირფასი ლითონებით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთობა; 5. საჭმელი სოკო; 11. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბალახოვან და ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 12. მოდური ტანსაცმლის მაღაზია; 14. ახლად ამოსული ჩაის ბუჩქის ყლორტები; 16. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 17. უნგრეთის პირველი მეფე, ქრისტიანობის დამკანონებელი ქვეყანაში; 19. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 21. ბალ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

**თარაზულად:** 6. სვანური ციხე-კოშკი; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. ძველი ქართული თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 9. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი ლათინურ ამერიკაში; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 13. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 15. თითების განლაგება მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრისას; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 20. დედალი ჯიხვი; 21. ცირკის მოედანი, არენა; 23. თვალით უხილავი ნაწილაკების გამოსაკვლევი ოპტიკური ხელსაწყო; 24. პატარა მოთხრობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პომოლოგია; 2. კუბრიკი; 3. ნამაზი; 4. დერგი; 5. არაგვი; 11. სხალთა; 12. დონორი; 14. ნასა; 16. რუსთავი; 17. სლალომი; 19. სეკანსი; 21. მონჟი; 22. პარმა.

**თარაზულად**: 6. მოლეკულა; 7. მაესტრო; 8. გროგი; 9. ოლანდი; 10. ზაქსი; 13. სიონი; 15. გრენლანდია; 18. მატროსი; 20. ლემა; 21. მანათი; 23. პინკერტონი; 24. მირაჟი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. ნიგოზი; 7. ბემბი; 9. ლინზა; 12. ეთნოგენეზი; 14. სოპოტი; 15. კრაზანა; 17. მონასპა; 20. ქიმია.

**თარაზულად**: 5. საქარინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. მინდია; 13. ათინათი; 16. ბარაკონი; 18. ტონგა; 19. ხალთა; 21. პორტიე; 22. ენოლოგია; 23. ტრაპეზი.

# ჩინელმა მილიონერმა მთელი ქონება ძაღლების თავშესაფარს დაახარჯა



ჩინელმა მილიონერმა ვან იანმა თითქმის მთელი თავისი ქონება უპატრონო ძაღლების თავშესაფარს დაახარჯა. სამი წლის წინ, როდესაც ბიზნესმენი ქალაქ ჩანჩუნში „ფოლადჩამომსხმელ იმპერიას" მართავდა, მისი საყვარელი ძაღლი დაიკარგა.

– მე მას ყველგან ვეძებდი, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ერთმა პიროვნებამ სასაკლაოზე შესვლის უფლება მომცა, რათა იქაც მეცადა ბედი, – განაცხადა ვან იანმა.

მილიონერმა ვერც იქ იპოვა თავისი საყვარელი ძაღლი, მაგრამ იქ ნანახმა მდიდარი მეწარმე იმდენად შეძრა, რომ გადაწყვიტა ძაღლების გადარჩენის საკუთარი ცენტრი გაეხსნა. მან ის სასაკლაო იყიდა და ძაღლებისთვის თავშესაფრის მშენებლობა მიტოვებული ფოლადჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე დაიწყო. მას შემდეგ ვან იანი ცხოველების მკურნალობისა და კვების ხარჯების გამო სერიოზულ ვალებში ჩავარდა.

– მე ფულად შემოწირულობებს არ ვიღებ. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ კეთილი ადამიანები რაიმე რაოდენობის საკვებ პროდუქტებს შემოსწირავენ თავშესაფარს, – განაცხადა ჩინელმა ყოფილმა მილიონერმა.

რაღაც მომენტში თავშესაფარში ათასზე მეტი ძაღლი ცხოვრობდა. ბევრი მათგანი ახალმა პატრონებმა წაიყვანეს, ამჟამად კი თავშესაფარში მხოლოდ 200 ცხოველი ბინადრობს.

# დედოფალ ელისაბედ II-ის დაბადების დღისთვის ბილეთების გაყიდვა დაიწყო

დიდ ბრიტანეთში 24 ნოემბრიდან დაიწყო დედოფალ ელისაბედ II-ის 90 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. ღონისძიების ორგანიზატორთა ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 25 ათასამდე ბილეთი გაიყიდება.

ღონისძიება 2016 წლის მაისში ჰოუმ-პარკში გაიმართება, რომელიც სამეფო უინძორის ციხესიმაგრეში მდებარეობს. თეატრალურ წარმოდგენაში 1,5 მუსიკოსი, მოცეკვავე, მომღერალი, ცნობილი მსახიობები და ხელოვნების სხვა მოღვაწეები მიიღებენ მონაწილეობას. ზეიმის მონაწილეთა შორის ასევე იქნება მრავალრიცხოვანი სამხედრო ორკესტრები და კავალერია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის 900-მდე ცხენი.

ბილეთების ფასი პირველ სამ დღეზე 55-დან 165 ფუნტ სტერლინგამდეა, ხოლო 15 მაისს დასასწრები ბილეთების ფასი, როდესაც ზეიმს თავად დედოფალი დაესწრება, 75-დან 195 ფუნტამდეა.



შეგახსენებთ, რომ დედოფალი ელისაბედ II დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივად სამეფო ტახტზე მჯდომი მონარქია. მან მიმდინარე წლის 9 სექტემბერს გააუმჯობესა თავისი დიდი ბებიის, დედოფალ ვიქტორიას რეკორდი, რომელიც 23.226 დღეს 16 საათსა და 23 წუთს შეადგენდა.

# ქალმა მოღალატე ქმარს სახლი გაუყიდა

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ქალბატონმა ლორა არნოლდმა, რომელმაც მეუღლე კრეიგი ღალატში ამხილა, მათი საერთო სახლი იმ დროს გაყიდა, როდესაც ქმარი ნიუ-იორკში ორკვირიანი მივლინებით იმყოფებოდა.



არნოლდი სახლში გვიან საღამოს დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ სახლის შესასვლელ კარზე საკეტები შეცვლილია. მან ზარი დარეკა და გაკვირვებული დარჩა, როდესაც კარი 21 წლის ახალგაზრდამ გაუღო. ასევე, მის გარდა სახლში კიდევ ექვსი სტუდენტი იმყოფებოდა.

ახალგაზრდამ კრეიგს უთხრა, რომ მისი სახლი გაყიდული იყო. მამაკაცი სახლში შევიდა და ნახა, რომ მასში მისი მთელი ავეჯი აღარ იყო, მეუღლეს მხოლოდ მისი ნივთები და წერილი დაეტოვებინა: „ჩვენი საქმეები, ახლა არც ისე კარგად მიდის".

მამაკაცის თქმით, ის გაკვირვებული დარჩა იმით, რომ ცოლმა სახლის გაყიდვა სულ რაღაც ორ კვირაში მოახერხა.

მანამდე 42 წლის ლორამ მეუღლის ტელეფონში აღმოაჩინა ვიღაც ქალის შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ნიუ-იორკში მისი ვიზიტის დროს მასთან სექსით დაკავდებოდა. მოტყუებულმა ქალმა გადაწყვიტა, ქმარზე შური ეძია და სახლი მანამდე გაეყიდა, ვიდრე კრეიგი მივლინებიდან დაბრუნდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ცოლ-ქმარს სახლის შეძენაში ფინანსური დახმარება ლორას მშობლებმა გაუწიეს და ამიტომ ქალმა ჩათვალა, რომ მის გაყიდვაზე მეუღლის თანხმობა არ სჭირდებოდა.

**მოამზადა**
**კახა ხატიაშვილმა**

# გიორგი სუხიტაშვილს ბრალდებები წაუყენეს

„ჯეოსტარის" გამარჯვებულ გიორგი სუხიტაშვილს ბრალდებები წაუყენეს. მას შემდეგ, რაც „ახალი ხმის" ბოლო რინგი გავიდა ეთერში და გიორგი თედიაშვილისა და ნინი სუხიტაშვილის დუელში გამარჯვება ნინის დარჩა, მისი ძმა გიორგი სუხიტაშვილი საქმის ჩაწყობაში დაადანაშაულეს.



ნინი სუხიტაშვილი ნუცას გუნდის წევრია. მომღერალი მანამდეც მონაწილეობდა სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსში და მისი მუსიკალური შესაძლებლობები ქართველი მსმენელისთვის ცნობილია. მომღერლები არიან მისი ძმებიც გიორგი და ლევანი. ლევანი წლების წინ ჯგუფში „სფინქსი" მღეროდა, გიორგი კი სოლო კარიერით გაიცნო მსმენელმა და ამჟამად ის თბილისის ბიგ ბენდის სოლისტია.

სუხიტაშვილების მისამართით გავრცელებულ ბრალდებებს ნინის ძმები გამოეხმაურნენ.

**გიორგი სუხიტაშვილი:**

– მე და ჩემი ძმა ლევან სუხიტაშვილი ეჭვმიტანილები ვართ ჩაწყობაში. თუ არ მითხრათ, როგორ ან სად ჩავაწყვეთ, ან რომელმა ჩავაწყვეთ.

ეჭვის გზა ისევ ჩვენს ოლიგარქ მამაზე მიდის. მინდა ყველამ იცოდეს, არც გავყოლილვარ არც ერთ ჩაწერაზე, არც გადაღებაზე. სანამ ვინმეზე რამეს იტყვი, სადღაც მაინც დაფიქრდი. ნუცას არ ვიცნობ პირადად, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე მოგვიწია ერთ კონცერტში მღერამ, გამარჯობის იქით არ წასულა ჩვენი საუბარი. რაღაცნაირად მრცხვენია ამის დაწერა, უბრალოდ ვიცი, რომ კიდევ ბევრი მოცლილი დაწერს ასეთ რამეს.

მართლა მაგარი ბიჭია ნინის მეწყვილე, კარგი ტემბრი, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი, გემოვნებიანი ფრაზები და თავდაჯერება. მე პირადად დიდ მადლობას გადავუხდი ასეთი მაგარი შესრულებისთვის.

**ლევან სუხიტაშვილი:**

– ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით ჩვენი დით და დღეს რაც მოვისმინე, მართლა არ ველოდი. ლამის ამომექვითინა.. ეს იყო ძალიან მაგარი დუეტი...

ძალიან გული დამწყდა იმ ბიჭზე... ძალიან კარგი მომღერალია და მართლა უნიჭიერესია... მე კი ამაყი ვარ ჩემი დით და პირველად ვაფიქსირებ ჩემს აზრს იმ ადამიანების კომენტარებთან დაკავშირებით, რომლებსაც ოდითგანვე ეგონათ, რომ ჩვენ სადმე რამეს ვაწყობთ...

სასაცილოა და სასაცილოები ხართ... შეიძლება ტეხავს, მაგრამ არც მე და არც ჩემი ძმა ერთხელაც არ ვყოფილვართ ჩაწერაზე და უფრო ამაყი ვარ, რომ ჩემი ნინი ყველაფერს ამას თვითონ და თავისი შრომით აღწევს..

მე ჩემი შვილისთვისაც კი არ შევაწუხებ ვინმეს რამის გამო, თუ ეს რამე მას არ ეკუთვნის... ვინ უნდა შევაწუხოთ, ისიც არ ვიცით... სასაცილოები ხართ... და კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ ჩემს აზრს გიორგის გამოსვლაზე... ის ძალიან მაგარი მომღერალია, რომელიც არ უნდა დაიკარგოს... სიამოვნებით მოვისმენდი ასეთ ძალიან მაგარ სიმღერებს მათი შესრულებით.

# ნინი ბრეგვაძემ პირველი სინგლი ჩაწერა

„იქს ფაქტორის" მეორე სეზონის ფინალისტმა ნინი ბრეგვაძემ პირველი ალბომიდან სიმღერა შეარჩია და სინგლი ჩაწერა. მომღერალი უკვე რამდენიმე კვირაა თავის სადებიუტო ალბომზე მუშაობს.

**ნინი ბრეგვაძე:**

– რამდენიმე კვირაა ალბომზე მუშაობა დავიწყე, რომელიც შედგება 8-10 სიმღერისგან. რაც შეეხება სტილს, იქნება ჰიპ-ჰოპი და არენდბი. იქედან გამომდინარე, რომ მინდა ჩემი პირველი ალბომი იყოს ხარისხიანი, ვამჯობინე, მეტი დრო დამეთმო მისთვის და აქედან გამომდინარე ვერ შეგპირდებით, რომ მალე გამოვა. სამაგიეროდ, იმის პირობა შემიძლია მოგცეთ, რომ საინტერესო და ხარისხიანი იქნება.

ალბომის გამოსვლამდე ვიფიქრებ 1 ან 2 სინგლის გამოშვებაზე თავისი კლიპით და ყველაფრით. ამ ყველაფერს იმიტომ გიზიარებთ, რომ იცოდეთ, როგორ არ მინდა ჩემი გამოვლილი გზის და თქვენი გულშემატკივრობის ასე უბრალოდ წყალში გადაყრა. თუ ეს ალბომი გამოვიდა, ის რაც მე იდეაში მაქვს, გავაკეთებ იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხშირ შემთხვევაში არასდროს კეთდება.

სწორედ ამიტომ გიზიარებთ ამ ინფორმაციას, მე მჭირდება თქვენი მხარში დგომა. მე მაქვს თქვენი იმედი და გპირდებით, თქვენც შეგიძლიათ გქონდეთ ჩემი.

ძალიან დიდი სიხარულით მინდა გაგიზიაროთ ვიდეო ჩემი ნომერ პირველი სინგლის მუშაობიდან. ძალიან მალე დავასრულებთ ბალანსს და დავიწყებ კლიპის გადაღებას.

ერთი სული მაქვს, როდის მოისმენთ ჩემს სიმღერას, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ მე და ჩემი ალბომში შესული დანარჩენი 9 სიმღერა. მინდა, რომ დაელოდოთ და იმედი მაქვს მოგეწონებათ.



მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოპულარული სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ან პლატინის ნაკეთობაზე; 3. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 5. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 6. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 12. ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 14. ვაშლის ქართული ჯიში; 15. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

**თარაზულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 4. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 9. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 11. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 12. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 17. ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელი ველების სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო სახეობა; 20. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

# TV პროგრამა

ხუთშაბათი 26 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.05 მხ/ფ "**ნათურებიანი მხედარი**" (ჯ.ფონდა) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 მხ/ფ "**ბოლეინის კიდევ ერთი ასული**" (ს.იოჰანსონი) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**მერვე გვერდი**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დოკ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 07.00 სერ. "**კარმა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 ერთხელ საქართველოში 00.30 მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯუნგლებში**" (ა.ბროუდი) 02.25 მხ/ფ "**უკანასკნელი ციხე-სიმაგრე**" (რ.რედფორდი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 პროფილი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი "ვახტანგ მაჭავარიანი მოგონებები" 2 ნაწ. 06.40 პატერიკი "როგორ აცხოვნა ბერმა თავისი მოწაფე" 06.50 დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**დედუნა**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე 16.10 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.55 დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები 17.35 ჩვენი ფონდი 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო "ზიარების საიდუმლო" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 წმ. მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი-ქართლის კათალიკოსი 20.40 ძილი ნებისა "მე წვიმად მოვალ" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.25 სალბუნი-რეანიმაცია 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო "ზიარების საიდუმლო" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 11.05 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05 **სერიალი "ტატიანა"** 17.05 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 **სერიალი "ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 **სერიალი "ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 **სერიალი "ფერფლი"** 1.30 **სერიალი "ტატიანა"** 2.15 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ნოემბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4078 |
| ევრო | 2.5759 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.6842 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7128 |

**ამინდის პროგნოზი 26 ნოემბრისთვის**




# ფაჩულია ორმაგი დუბლებით ნბა-ს სამეულშია



დალას მავერიკსმა ბოლო მეოთხედი 8 ქულით მოუგო მემფისში გრიზლისს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მარცხი განიცადა – 96:110. ჩვენთვის მთავარი კი ისაა, რომ ტეხასელთა ქართველმა ცენტრმა თავისი ორმაგი დუბლების სერია გააგრძელა და სეზონის მე-15 მატჩში პირად ანგარიშზე მე-9 დაბლ-დაბლი ჩაიწერა.

ზაზა ფაჩულიამ ორმაგ დუბლებში მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. ნბა-ში ახლა მის წინ მხოლოდ დეტროიტელი ანდრე დრამონდი (13) და ოკლაჰომელი რასელ ვესტბრუკი (10) არიან.

ფაჩულიამ მემფისში სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 28 წუთი გაატარა. ზაზამ 6-დან 2 ორქულიანი და 10-დან 9

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# კრიშტიანო რონალდუ რეალიდან არ მიდის



ბოლო პერიოდში სულ უფრო გახშირდა საუბრები იმის შესახებ, რომ კრიშტიანო რონალდუმ შეიძლება რეალი დატოვოს და სხვა გუნდში გააგრძელოს კარიერა. ყველაზე რეალური კანდიდატურა ფრანგული პსჟ-ა, რომელიც მზად არის, რონალდუში 200 მილიონი ევრო გადაიხადოს.

მიუხედავად ამისა, რონალდუს აგენტი ჟორჟე მენდეში აცხადებს, რომ მისი კლიენტი რეალში ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს.

უფრო მეტიც მენდეშის თქმით, რონალდუ კარიერას მადრიდის რეალში დაასრულებს. თვითონ ფეხბურთელი ამ ყველაფერზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს და ბევრი რამ ალბათ სეზონის ბოლოს გაირკვევა.

# ლუის ენრიკე: „ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვართ“



ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის შეხვედრაში საკუთარ მოედანზე იტალიური რომასგან ქვა ქვაზე არ დატოვა და რომაელები 6:1 გაანადგურა.

მატჩის შემდეგ კატალონიელთა მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ განაცხადა, რომ მისი გუნდი ამჟამად ოპტიმალურ ფორმაშია და რომას ამ მხრივ არ გაუმართლა.

– ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვართ და გუნდის ყველა ფეხბურთელი თავის მოვალეობას ძალიან კარგად ასრულებს. მესის დაბრუნება ძალიან გამიხარდა, რადგან ის უდიდესი ფეხბურთელია, რომლის თამაშითაც ყოველთვის ვტკბებოდი. იმედი მაქვს, ასეთ ფორმას სეზონის ბოლომდე შევინარჩუნებთ და გულშემატკივრებს ახალი ტიტილებით გავახარებთ, – განაცხადა ლუის ენრიკემ.

შემდეგ შეხვედრას ბარსელონა შაბათს საკუთარ მოედანზე რეალ სოსიედადის წინააღმდეგ გამართავს.

ბ.გ.

ახალი ქართული ნატურალური ჯემები თქვენი ოჯახისთვის
„ევროკაპიტალინვესტისგან“



არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ნივთიერებებს, კონსერვანტებს, საღებავებს
სიცოცხლის ელექსირი
100%-ით ნატურალური
დამზადებულია საქართველოში
შპს „ევროკაპიტალინვესტი“, საქართველო, 6000 ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №100
ტელ: +995-422-24-71-89; e-meil: infoeci777@gmail.com

# უპრეცედენტო პროექტი საქართველოში



„შექსპირი და ოპერა“ – ასე ეწოდება ახალ შემოქმედებით პროექტს, რომლის ავტორებიც ირინე რატიანის საოპერო ხელოვნების ასოციაცია „ბელკანტო“ და „მოძრაობის თეატრი“ არიან.

შექსპირი და ოპერა ნოვაციაა მუსიკალური ხელოვნებისა და თეატრის მოყვარულებისთვის, რაც აერთიანებს კლასიკური მუსიკისა და თანამედროვე ალტერნატიული ხელოვნების უპრეცედენტო ტანდემს საქართველოში.

პროექტის ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ირინე რატიანი. პერფორმანსში მონაწილეობს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, ცნობილი იტალიელი დირიჟორის ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით.

**ირინა რატიანი:**

– ოპერა და მოძრაობის თეატრი, ერთ მთლიანობად შეკრული, სრულიად ახალ და თანამედროვე ხელოვნების სტანდარტებით შექმნილ სანახაობას სთავაზობს ქართველ მაყურებელს.

შექსპირი და ოპერა უსასრულო თემაა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში და შემთხვევითი არ არის, რომ ეს პროექტიც სწორედ შექსპირის გენიალურ ქმნილებებზეა აგებული. პროექტი არაერთ მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება, უწინარესად, ეს არის გენიალური კომპოზიტორების ოპერებში შექსპირის უკვდავი პერსონაჟების გაცოცხლება, მათი ახლებურად წარმოჩენა ქართველი მაყურებლისთვის უჩვეულო რაკურსში და, ამავდროულად, კლასიკური ელფერის შენარჩუნება.

ეკა ირემაშვილი

კერძო სახლების მშენებლობა საქართველოს მასშტაბით!!! 1მ² -350$ (სრული თეთრი კარკასი)
სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“

პრიორიტეტები, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესი“:

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის სადაზღვევო გარანტია.



დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business

# იუმორი



ერთი მამაკაცი მეორეს სთავაზობს:
– იყიდეთ ეს საათი.
– ეს რა საათია?
– შვეიცარიული საათის ზუსტი ასლია.
– მართლა? კარგით, მომეცით და აი თქვენ ფული, ამერიკული დოლარის ზუსტი ასლია.

●●●

რუსი გამყიდველს ეკითხება:
– საინტერესოა, რისგანაა დამზადებული ტუალეტის ქაღალდი, რომელიც 970 რუბლი ღირს?
– რუბლებისგან.

●●●

რუსი სტუმარს ეუბნება:
– იცი, ჩვენთან არაყს უკვე აღარ სვამენ.
– რატომ?
– ალაჰი გვიკრძალავს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– იცი, თურმე ყოველ შვიდ წამში ერთი ადამიანი ჭკუაზე იშლება?
– როგორც ჩანს, მალე ჩემი მეშვიდე წამიც დადგება.

●●●

შვილი დედა ეკითხება:
– დედა, მამაჩემი ყველაზე კარგია! მეთამაშება, ჩემ მეგობრებთან მეგობრობს, ჩემთან ერთად საბავშვო გადაცემებს უყურებს, ყოველთვის მხიარული და მომღიმარია. სხვისი მამები ასეთები რატომ არ არიან?
– იმიტომ, რომ სხვისი მამები სამსახურში, როგორც წესი, თავზე მუზარადებს იხურავდნენ, ხოლო მამაშენი, არა...

●●●

ქალი დაქალს ურეკავს და ტირილით ეუბნება:
– ნათელა, წარმოგიდგენია, დღეს სახლში ადრე დავბრუნდი და... ჩემი ქმარი საძინებელში ვიღაც გოგოსთან ერთობა!
– შენ რა, ახლა სახლში ხარ?
– ჰო, სამზარეულოში ვზივარ და მათ გამოსვლას ველოდები.
დაქალმა ტელეფონი გათიშა და მამაკაცს გადაულაპარაკა:
– დაგვერხა!
– ვინაა?
– შენი ცოლია!

●●●

ერთი სტუდენტი მეორეს ეკითხება:
– რამდენი გამოცდა ჩაგივარდა?
– ხვალინდელის ჩათვლით, ხუთი.

●●●

მამა ქალიშვილს ეკითხება:
– შვილო, სიგარეტს თავს როდის დაანებებ?
– რომ დავფეხმძიმდები!
– მოწიე, შვილო, მოწიე...

●●●

დირექტორმა თანამშრომელი გამოიძახა და ეუბნება:
– განთავისუფლებული ხარ!
– განთავისუფლებული ვარ? მე კი მეგონა, მონებს ყიდიდნენ.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა